№ 85
(11 234)
27 – 29 ოქტომბერი, 1998 წ. ფასი 30 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ქვეყნის პრეზიდენტმა მიულოცა და მხარდაჭერას დაჰპირდა სფფ-ს ახალ პრეზიდენტს — მერაბ ჟორდანიას!

ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუდან: „იშვიათია ის ქართველი ადამიანი, რომელიც გულგრილი იქნება ქართული ფეხბურთის მიმართ. მეც, რა თქმა უნდა, მღელვარებით ვადევნებდი თვალს როგორც წინასაყრილობო დისკუსიას, ისე თავად ყრილობის მუშაობას. როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ამ საქმეში ვერ ჩავერეოდი და არც ჩავრეულვარ. ეს მხოლოდ ყრილობის გადასაწყვეტი იყო, რომელიც შეიკრიბა და ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია ახალგაზრდა კაცი, საფეხბურთო და სპორტულ წრეებში საკმაოდ ცნობილი მოღვაწე არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთულ ორგანიზაციებში, — მერაბ ჟორდანია. მე ტელეფონით ვესაუბრე გუშინ, არჩევის შემდეგ, ბატონ მერაბს, მივულოცე და ვუთხარი, რომ პრეზიდენტი და ქვეყნის ხელისუფლება თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებენ ჩვენი ეროვნული სიამაყის, ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქართული ფენომენის — ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის.

ალბათ, მიზანშეწონილი იქნება ერთობლივად შემუშავდეს ფეხბურთის განვითარების 5-7-წლიანი სახელმწიფო პროგრამა რესურსების სრული გამოყენებით. უფრო მეტად უნდა შევუწყოთ ხელი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ენთუზიაზმის გამოვლინებას ამ საქმეში".

# ვალმა რა ჰქნა?!

**ის, რომ საქართველოში თანდათან ეცემა ინტერესი დიდი სპორტისადმი, რჩეულ სპორტსმენებს აიძულებს იფიქრონ უცხოეთზე...**

„აგერ უკვე 7-8 წელია მომდევს სპორტი და დახმარება არავის უნდა" — თქვა ამ დღეებში ერთ-ერთ თავყრილობაზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა. არადა, მართალი თქვა, სახელმწიფომ თითქმის დაიბანა ხელი სპორტზე ზრუნვისგან. თითქმის ვამბობთ იმიტომ, რომ ჯერ ერთი — მიზერულ თანხას გამოჰყოფს ბიუჯეტიდან, მეორე — ამ თანხასაც ვერ იღებს დროულად და ვინაიდან საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს, ჩვენი გაჭირვების გამო, ერთი წუთითაც არავინ გადადებს, სპორტის დეპარტამენტი იძულებული ხდება, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში გაძვრეს, ან თავად იშოვნოს სესხით საჭირო თანხები ან თვით სპორტსმენებს სთხოვოს იშოვნონ როგორმე ფული, რომელსაც როდისმე დაუბრუნებენ. ისე ნამდვილად საოცარი ხალხი ვართ მთავრობიანა — გამარჯვებები, ოქროს მედლები, მსოფლიოში ქვეყნის სახელის გატანა გვინდა და იმას კი არავინ უფიქრდება, როგორ, საიდან მოვა ყოველივე ეს?

იხ. მე-2 გვ.



„შევარდენი" – 80

იხ. მე-2 გვ.

სურათზე, რომელიც ჟურნალ „შევარდენიდანაა" ამოღებული, აღბეჭდილი არიან სპორტსაზოგადოება „შევარდენის" დამაარსებლები: გ.ბერძენიშვილი, გ.ნიკოლაძე, ი.[illegible], გ.[illegible], თ. ნიკოლაძე და სხვ.

# გაიხარეთ, სათავეში ახალი კაცი მოვიდა!

## ჟორდანია ქართული საფეხბურთო სამყაროს გამთლიანებას გვპირდება

**დემოკრატიის გაკვეთილი ალმაშენებელზე:**
**მერაბ ჟორდანია — 112.**
**ალექსანდრე ჩივაძე — 56.**
**ილია დათუნაშვილი — 44.**
**რამაზ გოგლიძე — 23.**

კენჭისყრის მეორე ტურის ჩატარება საჭირო აღარ გახდა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრის შედეგი გამოაცხადა. დარბაზმა, რომლის სიმპათიები ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატისკენ გადაიხარა, იხუვლა. არა, ამას ჯერ გამარჯვების ყიჟინა არ ერქვა, უფრო სინანული ჭარბობდა — უმრავლესობის ჯილას, პირველივე ტურში საქმის მოსაგვარებლად, სულ რაღაც 6 ხმა დააკლდა (50% + 1). მაგრამ მალე, რამდენიმე წამში მერაბ ჟორდანიას მომხრეებმა შვებით ამოისუნთქეს: საშა ჩივაძემ დიდებული ჟესტი შეასრულა, მეორე ტურში მონაწილეობა აღარ ისურვა და საგრძნობლად დაწინაურებულ მეტოქეს პირველობა მიულოცა. ხელიხელგადახვეულნი, ისინი ამიერიდან (იქნებ ადრეც?) მოპაექრეები კი არა, ძმები იყვნენ, თანამოაზრეთა გუნდის წევრები. და რაოდენ გასახარია, რომ მათ ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლის სხვა პრეტენდენტებიც შეუერთდნენ – ილია დათუნაშვილი და რამაზ გოგლიძე, ვინაც უშიშრად პირველები ჩაერთვნენ საარჩევნო კამპანიაში და სწორედ მათმა სამაგალითო გარჯამ ესოდენ შეაჯანჯღარა მონოტონურად უფსკრულისკენ მიმავალი ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა.



მანამდე კი, სანამ სფფ-ს IV ყრილობაზე, ამ გულისამაჩუყებელ სცენას ვიხილავდით, იყო ის, რაც ესოდენ აკლდა წინასამს – საქმიანი კამათი, რეპლიკები, უკმაყოფილო წამოძახილები. მიუხედავად ბანაკებად დაყოფილი დეპუტატების, მოწვეული სტუმრების დაპირისპირებისა, მუშტი-კრივამდე საქმე არ მისულა, მეტიც, ორატორთა უმრავლესობამ აკრძალული ილეთების გამოყენებაზე უარი თქვა და თავისი რჩეულის მხარდაჭერასთან ერთად მეტ-ნაკლებად კორექტულად მოიხსენია სხვა პრეტენდენტები. ვუშველოთ ფეხბურთს! – ამ ფონზე დისონანსად და უადგილოდ ტრიბუნაზე დაუპატიჟებელი (არა, უფრო სწორად, ერთ-ერთი ღვარძლიანი დაჯგუფების მიერ გამიზნულად მოწვეული) სტუმარი გამოჩნდა: მისმა „ნაუბარმა" იმის შესახებ, რომ თურმე „დინამოს" კლუბს, იმ 3-4 თვის განმავლობაში, სანამ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით საგადასახადო შეღავათები ჰქონია, ქვეყანა დაუნგრევია და 28 მილიონი დოლარი (!) მიუთვისებია, ბევრში

იხ. მე-3 გვ.

ოთხშაბათს, 28 ოქტომბერს, 15 საათზე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.



გასულ შაბათ-კვირას ჩატარდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „თბილისობა". ასევე ტრადიციულად დაასახელეს თბილისის 10 საპატიო მოქალაქე, რომელთა შორისაა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი *ჯანსულ ბაგრატიონი.*

ვულოცავთ!

# ჟორდანიამ წმენდა დაიწყო

## ვალერი ჩოლარია ფეხბურთს უბრუნდება?

იამანიძის 5-ში დიდი ვნებათაღელვა შეინიშნება. ახალი „ხაზეინის" — მერაბ ჟორდანიას მოსვლას აქ გულისფანცქალით ელიან, ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობს — როგორი საქმეა ამ უმუშევრობისა და საერთო გაჭირვების დროს დაკარგო სარფიანი სამსახური? ზოგიერთი გულწრფელად ნანობს, რომ ოდესღაც უფროსების დავალებით, თავის დროზე, უმიზეზოდ ატკინა გული „დინამოს" მესვეურებს და შეგუებულია მათგან მოსალოდნელ რისხვას. არიან ისეთებიც, რომლებიც არ დაელოდნენ განკითხვის ჟამს, ბარგი ჩაალაგეს და იქაურობას გაეცალნენ.

გუშინ სფფ-ში ბევრი რამ შევიტყვეთ. მაგალითად, თავისი სამუშაო კაბინეტი დატოვეს და გაუჩინარდნენ ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნოდარ კობერიძე. როგორც ცნობილია, ისინი მკვეთრად ილაშქრებდნენ მერაბ ჟორდანიას წინააღმდეგ და, ცხადია, ახლა სფფ-ში არ დაედგომებოდათ. შევიტყვეთ, რომ ანდრიაძე კვლავ დაუბრუნდა ძველ თანამდებობას თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში, გარდა ამისა, იგი ამჟამად სხვა სამსახურსაც ეძებს. უფრო „თადარიგიანები" აღმოჩნდნენ კობერიძე და ფედერაციის გაზეთ „ქართული ფეხბურთის" თანამშრომლები. ანდრიაძის დახმარებით, მათ საუწყებო გაზეთი დამოუკიდებელ ორგანოდ გადააკეთეს და სფფ-ს ახალი ხელმძღვანელები საინფორმაციო საშუალების გარეშე დატოვეს. ფედერაციის შენობაშივე გუშინ შევხვდით გენერალურ მდივან დავით კვინიკაძეს. ფაქტია, იგი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს, იმდენად დიდი იყო მისი კრიტიკა ყრილობაზე. ამბობენ, რომ ჟორდანია მას რაიმე რიგით თანამდებობას შესთავაზებსო.

მაშ, ვინ იქნება ამიერიდან სფფ-ს მთავარი მამოძრავებელი ძალა? გენმდივნის ამ თანამდებობაზე სხვა და სხვა კანდიდატურას ასახელებენ. ყველაზე რეალური, ჩვენი აზრით, ვალერი ჩოლარიას კანდიდატურა მოჩანს. ადრე იგი დინამოელთა კლუბის პრეზიდენტი იყო, რომელიც ამ პოსტზე მ.ჟორდანიამ შეცვალა. შემდეგ ვ.ჩოლარია სპორტდეპარტამენტში მუშაობდა, ბოლო ხანს კი თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე იყო. გარდა ამისა, კულუარებში იმასაც ლაპარაკობენ, რომ ახალი პრეზიდენტი ანდრიაძის მიერ გამოთავისუფლებულ პოსტს უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენ ზაზა ბოკერიას უბოძებს.

ორიოდე სიტყვით სხვა სიახლეებზეც. მოლოდინისამებრ, თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად დაინიშნა რომან შოთაძე, ხოლო ვინ იქნება „ვიცე" მალე შევიტყობთ. ახლა ფედერაცია ალბათ, დროებით, „დინამოს" სტადიონზე გადავა. ვიდრე ძველ შენობაში სარემონტო სამუშაოები არ დამთავრდება.

# ქუთაისურთა სპორტული მატიანე

## რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაპარიძე



# კალათბურთი ქუთაისში

მეხუთე წერილი

**დიდი სპორტი ისე უნდა დატოვო, რომ ხალხს, საზოგადოებას, ენატრებოდეს შენი კვლავ გამოჩენა, — ასე მიმართა თავის ერთ-ერთ შეგირდს, საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავს ზურაბ საკანდელიძეს ქართული კალათბურთის ბერმუხამ სულიკო თორთლაძემ. იგივე სიტყვები დღეს დიდი გულისტკივილით შეიძლება ითქვას აწ განსვენებული ღირსეულ მამულიშვილის მწვრთნელისა და დამრიგებელის მიმართ.**

როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდა 1951 წელს მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა, დაიწყო ახალგაზრდა ოსტატის ცხოვრების მძიმე და ურთულესი პერიოდი. ბავშვთა სპორტსკოლის უფროსმა მწვრთნელმა, თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერ კალათბურთელთა დიდი კრებული და წლების განმავლობაში ღირსეულ ცვლას უმზადებდა დიდ კალათბურთს. სახელოვანი მწვრთნელის „ლაბორატორიამ" ჯერ კიდევ 60-იან წლებში საიმედო რეზერვი აღუზარდა საქართველოს საუკეთესო გუნდებს — თბილისის „დინამოს", „ბურევესტნიკს", სახელმწიფო უნივერსიტეტს და ფიზკულტურის ინსტიტუტს. გურამ მიქაძის, მურმან ხაჭაპურიძის, ზაურ ტყეშელაშვილის, ოტია თვალავაძის, ცეზარ და ელნესტი ჩოგოვაძეების, გუჯუ ყიფიანის, რეზო გოგელიას, ანზორ საკანდელიძის, ზურაბ მხეიძის, ჯუმბერ მერკვილაძის და სხვათა წარმომადგენლობით. რაც შეეხება ლვაწლმოსილი მწვრთნელის, ე.წ. მეორე შემოქმედებით პერიოდს, დიდ კალათბურთს აზიარა საქვეყნოდ ცნობილი ოსტატები, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი, რეზო გოგელია, ასევე სახელოვანი ოსტატები: დათო მალალთაძე, ზურაბ გრძელიძე, გელა დარსაძე და მრავალი სხვები, რომლებიც დიდხანს წარმატებით იდგნენ როგორც ქართული, ისე საბჭოური კალათბურთის ავანგარდში.

1962 წლის იანვრის პირველ ნა-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 80,82-84

იხ. მე-3 გვ.

# კოკა-კოლას პრიზზე – 196!

*დიახ! ზუსტად ამდენი ბავშვთა საფეხბურთო გუნდი მონაწილეობდა „კოკა-კოლას" პრიზზე. 1984 წელში დაბადებულ ნორჩებში გამარჯვება წილად ხვდა თენგიზ სულაქველიძის შეგირდებს — ნორჩმა დინამოელებმა დაძაბულ ფინალურ ორთაბრძოლაში სძლიეს 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდს.*

*ერთი წლით უფროსი ასაკის ბავშვებში კი თემურ ებანოიძის გუნდმა „ოლიმპიკმა" იმარჯვა, 2-1, რომელმაც ფინალში ნორჩი დინამოელები დაამარცხა. ფინალური ორთაბრძოლები ტრადიციისამებრ „დინამოს" სტადიონზე გაიმართა.*

**საქართველოს პირველობა** პირველი ჯგუფი • XI ტური

ეროვნული ჩემპიონატის დაარსებიდან, ეს საიუბილეო მე-300 ტურია!

იბერია (სამტრ.) — მერანი-91 (თბ.) 0-0

ლოკომოტივი (თბ.) — დინამო (თბ.) 0-0

კოლხეთი-1913 (ფთ.) — არსენალი (თბ.) 3-2

ოდიში (ზუგდიდი) — თსუ 1-1

ტორპედო (ქუთ.) — სამგურალი (წყალტ.) 3-1

ვიტ-ჯორჯია (თბ.) — გორდა (რუსთ.) 2-1

დინამო (ბთ.) — სიონი (ბოლნ.) 1-0

გურია (ლანჩხ.) — დილა (გორი) გაიმართება 28 ოქტომბერს

## სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ.(-) |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბილისი) | 9 | 7 | 2 | 0 | 35-7 | 23 (-4) |
| ტორპედო (ქუთაისი) | 10 | 7 | 2 | 1 | 26-11 | 23 (-7) |
| ლოკომოტივი (თბილისი) | 11 | 5 | 6 | 0 | 15-5 | 21 (-12) |
| კოლხეთი-1913 (ფოთი) | 10 | 6 | 2 | 2 | 23-13 | 20 (-10) |
| დილა (გორი) | 10 | 6 | 2 | 2 | 14-7 | 20 (-10) |
| დინამო (ბათუმი) | 11 | 4 | 5 | 2 | 18-10 | 17 (-16) |
| იბერია (სამტრედია) | 11 | 5 | 1 | 5 | 22-25 | 16 (-17) |
| ვიტ-ჯორჯია (თბილისი) | 11 | 4 | 2 | 5 | 12-10 | 14 (-19) |
| ოდიში (ზუგდიდი) | 10 | 4 | 1 | 5 | 7-13 | 13 (-17) |
| არსენალი (თბილისი) | 11 | 3 | 3 | 5 | 13-20 | 12 (-21) |
| მერანი-91 (თბილისი) | 11 | 2 | 6 | 3 | 7-11 | 12 (-21) |
| თსუ | 11 | 2 | 3 | 6 | 11-17 | 9 (-24) |
| სიონი (ბოლნისი) | 11 | 2 | 2 | 7 | 11-26 | 8 (-25) |
| გორდა (რუსთავი) | 10 | 1 | 5 | 4 | 6-8 | 8 (-22) |
| სამგურალი (წყალტუბო) | 11 | 2 | 1 | 8 | 9-26 | 7 (-26) |
| გურია (ლანჩხუთი) | 10 | 2 | 1 | 7 | 9-27 | 7 (-23) |



*თბილისის საზოგადოებრიობამ გულითადად მიულოცა საიუბილეო თარიღი სულიკო თლრთლაძეს (სურათზე მარჯვნივ).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალმა რა ჰქნა?!

*(პირველი გვერდიდან)*

**მერე ადგება სპორტსმენიც თუ მწვრთნელი, წავა უცხოეთში სრულად გამოავლენს თავის შესაძლებლობებს და ვიწყებთ მათზე სინანულით ლაპარაკს. გვაპატიოს ყველამ, მაგრამ ქართველობის ხშირ-ხშირი შეხსენებით და პატრიოტული შეძახილებით, ეს პრობლემა ცხადია, არ გადაიჭრება.**

**ამ დღეებში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას. ჩვენ უცვლელად ვბეჭდავთ ტექსტს. მკითხველი თავად მიხვდება თუ რა სავალალო მდგომარეობაშია დღეს ქართული სპორტი.**

## საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ ვ. ლორთქიფანიძეს

ბატონო ვაჟა!

ბოლო ხანს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეების გამო სპორტის სფეროში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. დღევანდელი უაღრესად კრიტიკული სიტუაცია, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1997 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაგვაკლო ბიუჯეტიდან კუთვნილი 517,0 ათასი ლარი, მიმდინარე წლის 9 თვეში კი — 583,0 ათასი ლარი. მთლიანმა დავალიანებამ 1,1 მილიონი ლარი შეადგინა.

ამის გამო სპორტული ფედერაციების მუშაკებს არ მიუღიათ 8 თვის ხელფასი (190,0 ათასი ლარი); გაუცემელია სპორტსმენთა კვების 6 თვის თანხები (115,0 ათასი ლარი); დაუფარავია ჩატარებული სპორტული ღონისძიებების დავალიანება (655,0 ათასი ლარი); მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გამარჯვებულ სპორტსმენთა მწვრთნელებს საპრიზო ფონდიდან მიუღებელი აქვთ 35,0 ათასი ლარი; დაუფარავია სპორტსმენთა მგზავრობისათვის ავიაკომპანია „ეარ — ჯორჯია“-საგან შეძენილი ბილეთების ღირებულება 75,6 ათასი ლარი და სხვა.

დაუფინანსებლობის გამო არ ხერხდება საერთაშორისო ფედერაციებისათვის საწევროების გადახდა, რითაც შექმნილია მათი რიგებიდან ეროვნული ფედერაციების გარიცხვის რეალური საფრთხე; გაუქმება ემუქრება თბილისში დაგეგმილ უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას ჭიდაობის სახეობებში, რომლებიც ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრებებს წარმოადგენენ; ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიუღებლობის გამო საერთაშორისო ფედერაციებიდან ველით სერიოზულ საჯარიმო სანქციებს.

ახლა, როდესაც გადამწყვეტ ფაზაში შედის 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება, პრაქტიკულად მოკლებულნი ვართ ყოველგვარ საშუალებას ოლიმპიურ ციკლში ჩართულ სპორტსმენთათვის ელემენტარული პირობების შესაქმნელად, რაც თავის მხრივ ზრდის მაღალი რანგის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიგრაციის საშიშროებას.

ასეთ პირობებში საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა მაინც მოახერხა საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში სპორტსმენთა მაქსიმალური მონაწილეობა, რის შედეგადაც განვლილ 9 თვეში მოპოვებულია 123 მედალი, რაც 31-ით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩვენს მიერ წარდგენილი პროგრამისა და შესაბამისი დასაბუთების, აგრეთვე ქვეყნის პრეზიდენტის მხარდაჭერის მიუხედავად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით სპორტის დაფინანსება დაგეგმილია წლევანდელ დონეზე, რაც 4,2 მილიონ ლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თანხის მესამედი 1997-1998 წლების დავალიანების დაფარვას უნდა მოხმარდეს, გამოდის, რომ ბიუჯეტიდან თანხის მთლიანად მიღების პირობებშიც კი (რაც ძნელად სავარაუდოა) მომავალი წინა საოლიმპიადო წელს სპორტის დაფინანსება ფაქტიურად 30 პროცენტზე მეტით მცირდება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და გაატაროთ შესაძლო კონკრეტული ღონისძიებანი ქართული სპორტის გადასარჩენად.

მხარდაჭერის იმედითა და უღრმესი პატივისცემით.

თავმჯდომარე კ. ასათიანი

---

**წერილი „ლელოს“**

**მაქვს წინადადება**

## მოდით, შევხვდეთ, ვეტერანებო!

ძვირფასო ლელოელებო! ამ დღეებში სიამოვნებით გავიხსენეთ მინი ფეხბურთის მატჩი, რომელიც თქვენი რედაქციის თაოსნობით მოეწყო სპორტის სასახლეში ამ ათი წლის წინათ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით. ეს იყო მართლაც ულამაზესი სანახაობა, ამავე დროს მცდელობა იმისა, რომ აღდგენილიყო ამ ორ თეატრს შორის საფეხბურთო მატჩების გამართვის ტრადიცია.

მაქვს წინადადება თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყოს „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ვეტერან კალათბურთელთა მატჩი, რაც, ვფიქრობ, არა მხოლოდ ამ ორ გუნდს შორის ტრადიციული, დაძაბული ორთაბრძოლების რეტროსპექტივა იქნება, არამედ, ახალგაზრდა თაობას შესაძლებლობას მისცემს მოედანზე უშუალოდ იხილონ ქართული კალათბურთის უკვე ლეგენდად ქცეული მოთამაშეები.

იქნებ ლელოელებმა ეს ღონისძიება ითავოთ?

ვალერი ლომაძე,
ვეტერანი კალათბურთელი,
თბილისის სპორტის სასახლის დირექტორი

**რედაქციისაგან:** **ბატონ ვალერის მადლობას ვუხდით კარგი წინადადებისთვის და, ასე ვთქვათ, „ლელო“ იღებს ამ გამოწვევას. უახლოეს მომავალში წამოყენებულ წინადადებას სერიოზულად დავუბრუნდებით და, ვფიქრობთ, „დინამო“ — „ბურევესტნიკის“ ვეტერან კალათბურთელთა მატჩის გამართვას რეალობად ვაქცევთ პოლიტიკურ გაერთიანება „სპორტულ საქართველოსთან“ ერთად.**

---

## „სპორტული საქართველო“ №10

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა წილისყრა იმ პარტიებისა და პოლიტიკური ბლოკებისთვის, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. ასეთი სულ 13 საარჩევნო იურიდიული პოლიტიკური ორგანიზაციაა. პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“ მე-10 ნომერია.

მაშ ასე, დაიხსომეთ: „სპორტული საქართველო“ №10. გააკეთეთ სწორი არჩევანი – მოარტყით ათიანში!

---

# 80 წლის „შევარდენი“

ასეთი თარიღი, მით უფრო, თუ იგი ღრმადეროვნულია, უთუოდ დიდია. ზარზეიმით აღნიშვნას იმსახურებს და ალბათ, ჩვენც ასე მოვიქცეოდით დღევანდელი გაჭირვება რომ არ კვეცავდეს სურვილს და ოცნებას. მაგრამ სათქმელი ხომ მაინც უნდა ითქვას?

სათქმელი კი მართლაც ულევია. „შევარდენი“ — ფაქტობრივად ეს ეროვნული სპორტული საზოგადოებაა თანამედროვე ქართული სპორტის მესაძირკვლე. რა კუთხითაც გინდა შეხედო ჩვენს სპორტულ მოძრაობას, ერთს ვერავინ ვერსად გაექცევა, მას ყოველთვის უნდა გადმოხედო „შევარდენის“ სიმაღლიდან. არ შეიძლება სიამაყით არ აგივსოს გული იმ განვლილმა გზამ და მიღწევებმა. რაც „შევარდენის“ ფრთების სიმაღლიდან ასე შთამბეჭდავად მოჩანს.

დღეს, 80 წლის სამზერიდან, არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ იმ ადამიანების ღვაწლი და დამსახურება, ვინც ქართული გენის ნოყიერ ნიადაგში ეროვნული სპორტის თესლი ჩააგდო. იმ თაობის პატრიოტიზმმა და ენთუზიაზმმა ნაბიჯ-ნაბიჯ აგვიყვანა დიდების მწვერვალზე — საქართველო ხომ ერთ-ერთი თვალსაჩინო სპორტულ ქვეყნად იქცა დედამიწის ზურგზე.

საბჭოთა წლებში ქართული სპორტის წინსვლა-განვითარების ჭაპანს ერთად ეწეოდნენ სხვადასხვა უწყებრივ-დარგობრივი სპორტული საზოგადოებები, მაგრამ ყველა მათგანი თავისი სულისკვეთებით მაინც „შევარდენის“ ყლორტები იყო, მაინც „შევარდენის“ ფესვებიდან საზრდოობდა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ყველა თვალსაჩინო მიღწევა შევარდნისეულია, მასთანაა წილნაყარი, ყველა ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი მაინც „შევარდენის“ მძლავრი ფრთებიდანაა აფრენილი.

რაოდენ ღრმაეროვნული და შთამბეჭდავია შევარდნელთა თავდაპირველი მისალმება „გუშაგობ ერს?“ და პასუხი — „მარად!“. დაუკვირდით რაოდენ ტევადია სიტყვა „ძმა“, როცა საქმე ეხება შევარდნელთა საქმეში თანადგომას შენი ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ულლის ერთად გაწევას, ურთიერთ სიყვარულს და პატივისცემას. ამ ძმობისა და ქართველი ერის თავდადებული სამსახური თავადვე უჩვენეს ქვეყანას ჭეშმარიტმა შევარდნელებმა და ერისკაცებმა გიორგი ეგნატაშვილმა, გიორგი ნიკოლაძემ, გაიოზ ბერელაშვილმა, მათმა თანამოძმეებმა და შეგირდებმა.

— 1989 წლის 28 სექტემბერი „შევარდენის“ მკვდრეთით აღდგენის დღეა — საქართველოს პროფკავშირულმა დარგობრივმა სპორტულმა საზოგადოებებმა შერწყმისა და ერთ სპორტულ ორგანიზაციად გაერთიანების სურვილი გამოთქვეს. ასე აღდგა მკვდრეთით „შევარდენი“, რომელიც სახელოვანი წინამორბედის იდეებისა და მისწრაფებების გამგრძელებლად იქცა. აღორძინებული სპორტსაზოგადოება პროფკავშირებმა შეიფარა. დაიწყო ახალი ერა „შევარდენისა“ და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. დამოუკიდებელ საქართველოს ბევრი პრობლემა გაუჩნდა, მაგრამ „შევარდენში“, როგორც იმ შორეულ წლებში, ამჯერადაც ჭეშმარიტმა პატრიოტებმა მოჰკიდეს ხელი საქმეს — ვაჟა შუბლაძემ და ემზარ ზენაიშვილმა ყველაფერი იღონეს მისი ავტორიტეტის აღსადგენად, ამჟამად კი „შევარდენის“ ყველა თაობის თვკაცთა მდიდარ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს სამაგალითო პიროვნება ბერდია გუგავა.

დღეს „შევარდენი“ 80 წლისაა, ერთდროულად ჭარმაგიც და ბრძენიც, ენერგიითა და ძალ-ღონით აღსავსე სრულიად ახალგაზრდაც. „შევარდენის“ ფუნქცია მარადიულია, რადგანაც თვით ქართველი ერი მისი შემწეობითაც უნდა იყოს მარადიული!

თენგიზ გაჩეჩილაძე

## მიეძღვნა «შევარდენის» 80 წლისთავს

დამთავრდა შევარდენიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში თბილისელ სპორტსმენთა მონაწილეობით. გაგაცნობთ გამარჯვებულებს (თანმიმდევრობა — ჭაბუკები, ვაჟები, გოგონები, ქალები). *60 მ:* ანდრეი პოზივაევი, ედვინ ეგიაზაროვი, ეკატერინა ბაევა; *150 მ:* გოჩა ჩხაპელია, გიორგი ტაბატაძე, იულია დუბინა; *300 მ:* ანდრეი პოზივაევი, შამილ მამუდოვი, იულია დუბინა. *600 მ:* ქალები. — ალიონა ლაცაბიძე, ვაჟები — ივანე გოგლიძე; ***სიგრძე.*** გოგონები ირინა ხოროშევა, ჭაბუკები — აკაკი ბოლქვაძე, ვაჟები — ზურაბ ელიზარიძე; ***ბირთვი.*** გოგონები — ქეთევან კოპალეიშვილი, ჭაბუკები — გივი ჩიბურდანიძე.

---

**რაზე წუხან ნაკრების მწვრთნელები?**

# ლევან მოსეშვილი: „შუქი გვირაბის ბოლოს, ჯერჯერობით არ ჩანს“

**ქართული კალათბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ბატონმა ლევან მოსეშვილმა ამ მოარული გამოთქმით დაიწყო თავისი ინტერვიუ, რითაც გვაგრძნობინა, რომ საუბარი არც თუ სასიამოვნო იქნებოდა. ეს პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისთანავე ვიგრძენი.**

მაშ ასე — პირველი შეკითხვა:

● ***რას გვეტყოდით საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითად პრობლემებზე?***

— დღეს ჩვენი ეროვნული გუნდის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საკლუბო გუნდის მთავარი პრობლემა, ფინანსებია, უფრო სწორად, უსახსრობა. ერთი თეთრიც არ გაგვაჩნია, არ არის ხელფასები. არსაიდან იგრძნობა გუნდის თანადგომის სურვილიც კი. არადა, მთელ რიგ ქვეყნებში კალათბურთის, ფეხბურთის და სხვა სახეობებისადმი ზრუნვამ პოლიტიკური ელფერიც მიიღო. ჩვენს გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ რა პირობებში გახდა საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი. თამაშების დროს საფრანგეთის პრეზიდენტი თითქმის მე-12 მოთამაშის როლს ასრულებდა. ალბათ წარმოიდგენთ თუ რაოდენ საჭირო ქულები ჩაიწერა მომავალ არჩევნებში საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ცხადია, ჩვენში ანალოგიური ტენდენციების ძიება ჯერ კიდევ ნაადრევია, ერთგვარად უხერხულიც კია ასეთ თემაზე ყურადღების გამახვილება: დღეს ძალზე უჭირს ქვეყანას, რაზეა ლაპარაკი, როდესაც რუსთაველის თეატრი ინგრევა და შეიძლება სპორტის სასახლეც თავზე ჩამოგვექცეს, ყველაფერს ვერ გასწვდები... ეს რა შეღავათია — კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს თავისი წილი ყურადღება აუცილებლად სჭირდება.

● ***რა მდგომარეობაშია „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა?***

— „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა, მიუხედავად ამ ძნელბედობისა, მეტნაკლებად შევინარჩუნეთ, თუმცა პრობლემები აქაც თავზე საყრელია: გათბობის საქმე არ არის მოგვარებული. არც ერთ ბაზაზე, თვით სპორტის სასახლეშიც კი, ცხელი წყლის საკითხიც გადასაჭრელია. თავად განსაჯეთ, როგორი საქმეა, დღეში ორჯერ ივარჯიშოს სპორტსმენმა და ერთხელაც არ მიიღოს შხაპი. ზამთარშიც ხომ აქ ვარჯიში საერთოდ წარმოუდგენელია.

● ***მსაჯობის პრობლემაზე რას იტყოდით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მსაჯთა პროფესიონალიზმი ამაღლდეს?***

— მოთამაშეებისა და მწვრთნელების დარად, მსაჯებსაც ესაჭიროებათ როგორც სათამაშო, ისე სამსაჯო პრაქტიკა. სად უნდა მიიღონ ჩვენმა მსაჯებმა პრაქტიკა? მათ დარჩათ მხოლოდ საქართველოს პირველობა და სტუდენტთა ჩემპიონატი, უცხოეთში გასვლა კი, მოგეხსენებათ, დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მსაჯთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად ვინ არ იცის, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი თამაში იმსაჯოს, მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სემინარებში. უფულობა, ვიმეორებ, ამის საშუალებებს გვისპობს.

● ***„დინამოს“ შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა. შარშანდელი ბირთვიდან მხოლოდ სამი მოთამაშე შემორჩა: მაისურაძე, შანიძე და მეჭურჭლიშვილი. რა პერსპექტივა აქვს ახალ შემადგენლობას?***

— მართალია, მოთამაშეები ძალზე ახალგაზრდები არიან, მაგრამ უნდა ითქვას, — პერსპექტიულნიც. მათი, ძალიან დიდი იმედი მაქვს.

● ***რას იტყოდით ლეგიონერების შესახებ?***

— ვ. სტეფანიაზე ახალს ვერაფერს გეტყვით. იგი ტრანსფერზე იყო დაყენებული და შანსი გაუჩნდა წასულიყო NBA-ში, ფაქტობრივად, ამით იკარგებოდა იგი საქართველოს ნაკრებისათვის. NBA-ში მისი საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო 5 ოქტომბერს, მაგრამ ფაქტია, ორიოდე კვირის წინ მან ითამაშა ევროლიგაში სლოვენიის საკლუბო გუნდის შემადგენლობაში. ვ. ნაცვლიშვილი ტრავმირებულია. საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო თურქეთში, იზმირის კლუბთან მოლაპარაკება სწორედ ამ ტრავმის გამო ჩაიშალა. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის „ავტოდორთან“ ერთწლიან კონტრაქტზე და, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებულია სპორტსმენის ჯანმრთელობაზე. იმედი გვაქვს, ვახტანგი ორ კვირაში დაიწყებს ვარჯიშს. ჩხეიძე ისრაელშია, თავისი გუნდის ლიდერია ირაკლი ვაშაკიძე, რომელიც მოსკოვში თამაშობს.

● ***საქართველოს ნაკრები 25 და 28 ნოემბერს სტუმრად ითამაშებს ჩეხეთთან და შინ შვედებთან. რას იტყოდით, როგორია თქვენი პროგნოზი?***

— დავიწყებ მწარე რეალობით: რაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ, გუნდი არ შემიკრებია. ფაქტობრივად, არ მინახავს ნაცვლიშვილი მოედანზე. მხოლოდ 14 წუთს ვადევნე თვალი მოედანზე სტეფანიას. თუ ვერ მოხერხდა დაგეგმილი ერთკვირიანი შეკრება ისრაელში და სამი თამაში 17, 19 და 22 ნოემბერს იქაურ ეროვნულ ნაკრებთან, ვერავითარ შედეგს ვერ მომთხოვენ. გამიგებთ, რასაც ვამბობ...

● ***1998-99 წ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურის პირველ სამ თამაშში ეროვნულ გუნდს ხელმძღვანელობდა ბესო ლიპარტელიანი, მისი გუნდი დამარცხდა მინიმალური ანგარიშით. თქვენი აზრით, ძირითადად, რამ განაპირობა ეს წაგებები?***

— ამის შესახებ ილაპარაკა თავად ლიპარტელიანმა. მის მიერ დასახელებულმა ობიექტურმა მიზეზებმა, მართლაც განაპირობა ნაკრების დამარცხებები. თავად განსაჯეთ: ნაკრების წევრებს იგი ხვებოდა მხოლოდ 2-3 დღით ადრე თამაშამდე, რაც, ცხადია, შეუძლებელს ხდიდა გუნდის შეთამაშება-შეკავშირებას, გულშემატკივარი კი წარმატებას ითხოვს, მაგრამ საიდან, როგორ? ცხადია იყო ფინანსური პრობლემებიც. სამწუხაროდ, პრობლემები მეორდება დღესაც, რაც ყველაზე სამწუხაროა, იმედისმომცემი შუქი გვირაბის ბოლოს, ჯერჯერობით არ ჩანს.



*ლევან მოსეშვილი (მარცხნივ) და ვაჟა მხეიძე ერთად მუშაობის პერიოდში. ფოტო „ლელოს“ არქივიდან*

ალეკო მურადაშვილი,
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული ჟურნალისტიკის I კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გააზარეთ, სათავეში ახალი კაცი მოვიდა!

*(პირველი გვერდიდან)*

ღიმილი გამოიწვია. ერთმა დეპუტატმა ისიც კი წამოიძახა, თუ ჟორდანიას ამ მოკლე ხანში ამხელა თანხის გაკეთება შეუძლია, დავაყენოთ ფინანსთა მინისტრად, ეგება მთელი ქვეყანა გამოკვებოსო.

მოკლედ რომ ვთქვათ, რაც საქმე კენჭისყრისკენ მიდიოდა, დარბაზში განწყობა თანდათან ჟორდანიას სასარგებლოდ იხრებოდა, ხოლო, როცა დეპუტატებმა კრების თავმჯდომარის ნოდარ ანდრიაძის „მოღვაწეობის" მიუხედავად სფფ-ს მუშაობა საანგარიშო პერიოდში არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს (ხმების შეფარდება 57/97-ზე), ნათელი გახდა, რომ იმ დღიდან შოთა იამანიძის 5 ნომერს ახალი უფროსი მოევლინებოდა. აკი თქვა კიდეც კენჭისყრის წინ საშა ჩივაძემ – ვინაიდან ფედერაციის გარჯას ასე ნეგატიურად აფასებთ, საკუთარ კანდიდატურას სიამოვნებით მოვხსნიდი, მაგრამ ჩემს უკან ამომრჩევლები არიან და პროცედურას ბოლომდე იმიტომ ჩავამთავრებო. ფინალური სცენის შესახებ კი ზევით ვთქვით.

სუბიექტური რეზიუმე. ქართულ საფეხბურთო მეურნეობაში, ლენინის სიტყვებისა არ იყოს, შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია, როცა ქვედა ეშელონები ანუ რიგითი წევრები (კლუბები) ეკონომიკურად ისე დაუძლურდნენ, სულს ღაფავდნენ. იმავდროულად ზედა ფენებში – ფეხბურთის ფედერაციის აპარატშიც დამყარდა მეტად ქაოსური მდგომარეობა, ასე დიდხანს ნამდვილად ვერ გაგრძელდებოდა – ჩივაძე თავისთვის იყო, ანდრიაძე და კვინიკაძე კი უფრო იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გაეფართოვებინათ გავლენათა სფეროები. ცხადია, ასეთ დაპირისპირებაში, პირველ ყოვლისა, ფეხბურთი ზარალდებოდა და შედეგმაც არ დააყოვნა – ყველგან, ყველა უბანზე, ბავშვთა ფეხბურთი იქნება ეს, ეროვნული ჩემპიონატი, ევროპის საკლუბო ტურნირები თუ ნაკრებების დონეზე ჩატარებული მატჩები, სასტიკი მარცხი ვიწვნიეთ. არადა, სპორტულმა მას-მედიამ ჯერ კიდევ თებერვალ-მარტში ატეხა განგაში. გახსოვთ, ალბათ, ჩვენი მიმართვა საზოგადოებისადმი „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!", რომელსაც ხელს აწერდა 17 ჟურნალისტი (მათ შორის, 3 ლელოელი იყო). როგორც ყოველთვის, მაშინაც ფედერაციამ მტკივნეულად მიიღო ჩვენი კრიტიკა, ხოლო მისმა რუპორმა – საუწყებო გაზეთმა ლამის სამშობლოს მტრად გამოგვაცხადა. აი, ფედერაციის ჩინოსნებს ჯერ კიდევ მაშინ, რომ ყურად ეღოთ მას-მედიის ხმა, დავმსხდარიყავით, ერთად გვემსჯელა და გვეღვაწა მდგომარეობის გამოსასწორებლად, ასეთ სავალალო შედეგს ნამდვილად არ მივიღებდით.

მაშასადამე, სფფ-ს მე-4 ყრილობის წინ ქართულ საფეხბურთო მეურნეობაში შეიქმნა მეტად კრიზისული ვითარება, ამას დაემატა საზოგადოების ნეგატიური რეაგირება ნაკრები გუნდების წარუმატებელი გამოსვლის გამო. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა დელეგატების განწყობაზეც (ისინიც ხომ ჩვენი საზოგადოების ნაწილია). მათ ფედერაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს და ამით გამოხატეს ხალხის ნება. ასეთ სიტუაციაში ალექსანდრე ჩივაძეს წარმატების მისაღწევად რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა: მკვეთრად გამიჯნულიყო სახელგატეხილ თანამშრომლებს – მან ეს არ ისურვა (ან არ იკადრა).

რას მოასწავებს ქართული ფეხბურთის სათავეში მერაბ ჟორდანიას მოსვლა? გავბედავ და გავაკეთებ მეტად ოპტიმისტურ პროგნოზს – მას ძალუძს კრიზისიდან გამოგვიყვანოს ეს სახეობა. ახალგაზრდული შემართება, კომპეტენტურობა, მაღალი ინტელექტი და ერუდიცია, რომელიც მას გააჩნია, დიდად გამოადგება ჩვენს ფეხბურთს. მახსოვს, ამ ორიოდე თვის წინათ მერაბს დილომში „დინამოს" ბაზაზე ვესტუმრე. დიდხანს ვილაპარაკეთ, ვიმსჯელეთ შექმნილ სიტუაციაზე. მისი აზრით, თავიდათავი ჩვენი უბედურებისა არაკომპეტენტურობაში უნდა ვეძიოთ. ქართულ ფეხბურთს მხოლოდ პროფესიონალები გაადარჩენენ – რამდენიმეჯერ ხაზი გაუსვა რესპოდენტმა. შეხედეთ, რამდენი შემთხვევითი ხალხი მუშაობს სფფ-ში: არშემდგარი პოლიტიკოსები, ეგრეთწოდებული საზოგადო მოღვაწეები, ხელმოცარული ინჟინრები – ამათ როგორ უნდა მართონ საფეხბურთო მეურნეობა? – უკვირდა ჟორდანიას. მისი თქმით, სწორედ ასეთმა შემთხვევითმა პიროვნებებმა დისონანსი შემოიტანეს ქართულ ფეხბურთში, დაქსაქსეს იგი ბანაკებად, დაჯგუფებებად. ახლა მთავარია, გავმთლიანდეთ, შევიკრათ ერთ ოჯახად.

ღმერთმა გისმინოს, მერაბ!

ჯემალ ჭიკაშვილი

---

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

### პირველი ჯგუფი • XI ტური

**ლოკომოტივი (თბილისი) – დინამო (თბილისი) 0-0**

**მცხეთა, „არმაზის" სტადიონი.**

*ლოკომოტივი:* დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, მარღიშვილი (კოტორაშვილი, 82), კ. მელქაძე, დაუშვილი, გოდერძიშვილი (ნ. მინდიაშვილი, 88), გ. ღუდუშაური (კაციაშვილი, 46).

*დინამო:* გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, მუჯირი, გუჩუა, კიკნაძე, მიქაძე, აშვეთია, არჩვაძე, გ. შენგელია.

*გააფრთხილეს:* არსოშვილი, მიქაძე.

*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**იბერია (სამტრედია) – მერანი-91 (თბილისი) 0-0.**

**სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი.**

*იბერია:* დოლიძე, ნიკოლეიშვილი (ლორთქიფანიძე, 82), კობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, თოდუა (ჭელიძე, 61), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, ივერიანი, მუმლაძე (ვარდიაშვილი, 46).

*მერანი-91:* ნაჭყეპია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ცქიფურიშვილი, 89), ქორიძე, ბაჯელიძე (ჯიშკარიანი, 90), გ. კვეტენაძე, ხუციშვილი (მესხი, 90), ხარებავა.

*გააფრთხილეს:* ბაჯელიძე.

*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) – არსენალი (თბილისი) 3-2**

**ფოთი. „ფაზისის" სტადიონი.**

*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, ქუნთელია (გოროზია, 76), წივწივაძე, ახვლედიანი, შალამბერიძე, ლაღანიძე (ქუტიძე, 84), კალანდაძე, სუხიაშვილი, ე. გვასალია, გაბისონია (გიორგობიანი, 80), მ. ქობულაძე.

*არსენალი:* ჩლაიძე, ფირცხალავა, კაპანაძე, გველესიანი (კაკაშვილი, 54), ქიქავა (მ. მაისურაძე, 46), ყოლბაია, ზირაქიშვილი, გ. ლომიძე (კორღალიძე, 73), ხოსროშვილი, ლაცაბიძე, ტარიელაშვილი.

*გოლები:* 1-0 წივწივაძე (7), 2-0 გაბისონია (18), 3-0 კალანდაძე (54), 3-1 კაკაშვილი (79), 3-2 ტარიელაშვილი (84).

*გააფრთხილეს:* კაპანაძე.

*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**ოდიში (ზუგდიდი) – თსუ 1-1.**

**ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი.**

*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, ტყემალაძე (მეგონია, 62), ტაბაღუა, იოსავა (თოლორაია, 46), აკობია, ნარკოზია, თოლორდავა, კუტალია.

*თსუ:* გაბელია, ილურიძე, ვ. ღუდუშაური, კობიაშვილი, ბახტაძე, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე (სვანიძე, 89), წიტაიშვილი (ებრალიძე, 46), ჭუმბურიძე (ნინუა, 87), როსტიაშვილი.

*გოლები:* 1-0 თოლორდავა (54), 1-1 კობიაშვილი (84).

*მსაჯი:* თემურ მაჭარაძე (ხონი).

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – გორდა (რუსთავი) 2-1**

**მცხეთა. „არმაზის" სტადიონი.**

*ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, მენთეშაშვილი, მაისურაძე, ჯ. მუჯირი, კაპანაძე (დოლიძე, 60), აბაზაძე, მაზიაშვილი, ლ. ნოზაძე, თ. ბოკერია (ლამბაშიძე, 72), გ. გვაზავა (გოჩაშვილი, 80), ზ. გვაზავა.

*გორდა:* ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ლ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი, ზირაქაძე (ქოიავა, 46), ხელაშვილი, ჩუხუა, კ. ალადაშვილი.

*გოლები:* 1-0 გ. გვაზავა (28), 1-1 ლ. ალადაშვილი (41), 2-1 გ. გვაზავა (72).

*მსაჯი:* მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

**დინამო (ბათუმი) – სიონი (ბოლნისი) 1-0**

**ბათუმი. ცენტრალური სტადიონი.**

*დინამო:* მალაყმაძე, პაპიძე, გადელია, სიჭინავა, კანტიძე, აფხაზავა, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტუღუში, რუსია.

*სიონი:* ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მ. სამხარაძე, გაგუა (ქობულაშვილი, 84), თ. სამხარაძე (სვანიძე, 46), მ. გოგოლაძე, ჯაგიდისი (დ. ჯაფარიძე, 46), მაზანაშვილი, მოსეშვილი.

*გოლი:* მაჭუტაძე (38).

*გააფრთხილეს:* გოდერძიშვილი, ყიფშიძე, პაპიძე, რუსია.

*გააძევეს:* გოდერძიშვილი (36).

*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).

**ტორპედო (ქუთაისი) – სამგურალი (წყალტუბო) 3-1.**

**ქუთაისი. გ. კილაძის სახელობის სტადიონი.**

*ტორპედო:* ჭანტურია, შეყრილაძე, ჩხაიძე (თურმანიძე, 46), მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხაბერიძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე, 70), იონანიძე, მეგრელაძე, ქებაძე, დ. ჯანაშია.

*სამგურალი:* ხაჩირაშვილი, ჯავახაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, დ. ჭელიძე (დარსაძე, 52), მახვილაძე, ძაგნიძე, მ. ჭინჭარაძე (ქუთათელაძე, 72), თევდორაძე (ფილიპაშვილი, 72), კ. ჯანაშია.

*გოლები:* 1-0 ქებაძე (2), 2-0 იონანიძე (3), 3-0 მეგრელაძე (55), 3-1 მ. ჭინჭარაძე (57).

---

## უდარასელიოდ არაფერი გამოსდით

### იბერია — მერანი 0-0

რაც გიორგი დარასელიამ გუნდი დატოვა, სამტრედიელთა საქმე უკან წავიდა. „იბერია" ულიმღამოდ, უსისტემოდ თამაშობს. ასე იყო ამ მატჩშიც. ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებმა ვერაფერი ღირებული შექმნეს. სხვათა შორის, თავი არც მერანელებს გამოუდვიათ და თამაში ისეთი მოსაწყენი საყურებელი იყო, ნუ იკითხავთ. ეგ იყო, მეორე ტაიმში მეტოქეები ოდნავ გააქტიურდნენ და ერთი-ორჯერ გოლის გატანაც შეეძლოთ. ასე, თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცათ ხუციშვილს, კვეტენაძეს, ჩომახიძეს, ხუჭუას, მაგრამ მათი გარჯა ფუჭი გამოდგა.

გ. მინდელი,
„ლელოს" საკ. კორ. იმერეთში

## ცვლილებების მოლოდინში

### ტორპედო — სამგურალი 3-1

მეზობლებს სატურნირო ცხრილში პოლარულად განსხვავებული ადგილი უკავიათ, ამიტომ მაყურებელი უშეღავათო ბრძოლას ელოდა. ვარაუდი არ გამართლდა: მატჩის დებიუტშივე გატანილმა ორმა გოლმა წყალტუბოელებს თამაშის ხასიათი წაუხდინა, არც ქუთაისელებს მოუკლავთ თავი.

მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების არათანაბარი ძალა. იქნებ სფფ-ს სათავეში მოსულმა ახალმა პირებმა რადიკალურად შეცვალონ ჩემპიონატის სტრუქტურა, რათა ბრძოლა უფრო გამწვავდეს და გათამაშებას რაიმე ინტრიგა გაუჩნდეს.

შ. ქორქოლიანი,
„ლელოს" საკ. კორ. ქუთაისი.

---

# კალათბურთი ქუთაისში

*(პირველი გვერდიდან)*

ხევარში სოხუმმა უმასპინძლა საქართველოს პირველობას კალათბურთში ჭაბუკთა და გოგონათა შორის, ქუთაისის ვაჟთა გუნდმა სულიკო თორთლაძის თავკაცობით ბრწყინვალედ იასპარეზა, დაამარცხა ყველა მეტოქე და 23 წლის შესვენების შემდეგ დამსახურებულად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება. რაც მთავარია, ხუთი წლის განმავლობაში ქუთაისელი ჭაბუკები პირველობდნენ რესპუბლიკურ ტურნირებში, რაც ამაგდარი მწვრთნელის სულიკო თორთლაძის და მისი შეგირდების გიორგი და გერასიმე ჭეიშვილების, თამაზ ჩი...აძის, ზაურ დოლაბერიძის, გენო ...იჩიძის, გურამ საკანდელიძის, თემურ დვალიშვილის, დათო დევიძის, ოლეგ მამასახლისის და სხვათა დიდი დამსახურება იყო.

რა თქმა უნდა, ქუთაისელ კალათბურთელთა წარმატებები რესპუბლიკურ სარბიელზე ამით არ ამოიწურებოდა. 1965 წელს საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს სამედიცინო სასწავლებლების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირველობა არავის დაუთმო ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის ქალთა ნაკრებმა გუნდმა, რომლის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ც. ხურციძე, ი. ადამაძე, მ. ფოფხაძე, მ. დოლონაძე, ე. ბიწაძე და გ. ბურჯანაძე.

1973 წელს თბილისში ჩატარებულ საშუალო, სპეციალური სასწავლებლების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, კალათბურთში ტოლი არ ჰყავდა ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის ქალთა და ვაჟთა გუნდებს.

სასიხარულოა იმ ფაქტის გახსენებაც, რომ იმ პერიოდში ქუთაისელი მოსწავლე კალათბურთელები ლ. ხუჯაძე, თ. ტაბიძე, თ. ტოფაძე, ო. გ...რგაძე, ა. რუსაძე, ჯ. ხარაბაძე და სხვები წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ ტურნირებში და ოთხი მათგანი ლ. ხუჯაძე, თ. ტაბიძე, თ. ყუბანეიშვილი და მშვილდაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ, რაც ცნობილი მწვრთნელის ზაურ ჩარკვიანის შრომის და გარჯის ნაყოფი იყო.

1978 წელს ჭაბუკ კალათბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაზე ქუთაისელები კვლავ უძლიერესები იყვნენ, რითაც საკავშირო სარბიელზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

უზბეკეთის ქალაქმა ანდიჯანმა გულთბილად უმასპინძლა ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ზონალურ პირველობას. ორი ფინალური საგზურისათვის უშეღავათო ბრძოლა გაჩაღეს: ლენინგრადის, ლატვიის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის და საქართველოს ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა.

ჩვენი რესპუბლიკის სახელს ქუთაისის ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდი იცავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდის მწვრთნელებმა სულიკო თორთლაძემ და ზაურ დოლაბერიძემ ძლიერი საკალათბურთო ანსამბლი შექმნეს, რაც ტურნირის მსვლელობამ დაადასტურა. ქუთაისელებმა თანმიმდევრობით დაამარცხეს თურქმენეთის, ლატვიის, ლენინგრადის და ყირგიზეთის გუნდები. ფინალში მათი მეტოქე მასპინძელთა გუნდი, უზბეკეთის ნაკრები იყო. საინტერესო პაექრობა მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, უზბეკეთის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა 68:64. რაც მთავარია, საქართველოს გუნდმა მასპინძლებთან ერთად ფინალის საგზური მოიპოვა. ქუთათურებმა შეხვედრები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს. გუნდს გამოარჩევდა სწრაფი, მაღალტექნიკური და კომბინაციური თამაში, მაღალი სათამაშო ორგანიზაცია და სანიმუშო დისციპლინა, ქუთაისელებმა გამოამჟღავნეს მებრძოლი სული, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო გუნდის მაღალი ფიზიკური მომზადება.

აი, ის ბიჭები, რომლებმაც სასახელოდ დაიცვეს ჩვენი სამშობლოს სპორტული ღირსება; ედიშერ შვანგირაძე, გელა დარსაძე, ანდრეი ალიხანოვი, ვალენტინ დერიუგინი (სახელოვანი კოლია დერიუგინის ძმა), დათო ჯიქია, ზურაბ ავსაჯანაშვილი, ავთანდილ აფრიდონიძე, მამუკა სინაურიძე, ჯონდო კილაძე და დათო ნიჟარაძე.

შეირჩა ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების კანდიდატები, ქუთაისელებიდან გამოარჩიეს ედიშერ შვანგირაძე, გელა დარსაძე, ანდრეი ალიხანოვი და ვალენტინ დერიუგინი. მაშინ გაზეთი „ანდიჟანსკაია პრავდა" წერდა: „ჭაბუკთა გუნდებში შესამჩნევი იყო საქართველოს გუნდი, რომელსაც წვრთნის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი სულიკო თორთლაძე, გუნდის საფუძველს წარმოადგენს ისეთი უნიჭიერესი კალათბურთელები, როგორებიც არიან: ედიშერ შვანგირაძე, გელა დარსაძე და ანდრეი ალიხანოვი.

80-იან წლებში კვლავ წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა რანგის ტურნირებში ნიჭიერი ქუთაისელი კალათბურთელები ლერი ხუჯაძე, თეიმურაზ ტაბიძე, ძმები ლაშა და ირაკლი ვაშაკიძეები, ედიშერ შვანგირაძე, წულაძე, კოხრეიძე, გოქსაძე, ანდღულაძე და სხვები.

1985 წელს გამართულ საქართველოს პირველ ახალგაზრდულ თამაშებში ქუთაისელმა ჭაბუკებმა ტრადიციას არ უღალატეს და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, ახალგაზრდა მწვრთნელების ზაურ დოლაბერიძის, შოთა ჯავახიშვილის და გია თაყნელიძის აღზრდილებმა ჭაბუკი მერკვილაძემ, მალხაზ კოხრეიძემ, გია წულაძემ, ოლეგ ხაბელიანმა, გიგა ჩხეიძემ, მერაბ ნაცვლიშვილმა, ირაკლი ვაშაკიძემ, ბენო კვერნაძემ, დათო ხაბელიანმა, ვარდენ ჯანაშიამ, კახა ლომიძემ და კახა კვერნაძემ მაღალი საკალათბურთო ხელოვნების დემონსტრირებით მაყურებლის სიმპათიები დაიმსახურეს.




80-იანი წლების ქუთაისის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები გუნდი და მისი უფროსი მწვრთნელი სულიკო თორთლაძე

ასე მოხდა 1990 წელს ჩატარებულ საქართველოს X სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ კალათბურთელთა ტურნირზე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ზაურ დოლაბერიძის და სპორტის ოსტატის ლერი ხუჯაძის აღსაზრდელებმა ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ამ ტურნირზე ქუთაისის ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ლევან გოქსაძე, კახა გუბელაძე, გოდერძი კორძაძე, ავთანდილ აფრიდონიძე, მერაბ ნაცვლიშვილი, ზაზა მაჩალაძე, დათო გუმბერიძე, კახა ბუაძე, ელგუჯა ქათამაძე, კობა კირთაძე და ბადრი თვალაძე. 80-ინი წლების ბოლოს და 90-იანის დასაწყისში საქართველოს საკალათბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. სრული რეორგანიზაცია განიცადა ქვეყნის ჩემპიონატმა. თუ წინა წლებში საქართველოს პირველობა მაქსიმუმ ერთ კვირას გრძელდებოდა, 1987 წლიდან რესპუბლიკის ჩემპიონატები ტარდებოდა ორ წრედ. ჩემპიონატის მატჩები ნამდვილ საკალათბურთო დღესასწაულად იქცა. ასე იყო ქუთაისშიც. 1988 წლის ქუთაისის ვაჟთა ნაკრები გუნდის სავიზიტო ბარათი ასეთი იყო: გელა დარსაძე, ავთანდილ აფრიდონიძე, გიგა დოლაბერიძე, მამუკა კანდელაკი, კობა კირთაძე, ზაზა ენდელაძე, კახა შვანგირაძე, ბადრი თვალაძე, ლერი ხუჯაძე, ირაკლი ვაშაკიძე, მალხაზ ანდღულაძე, კახა ბუაძე, დავით გუმბერიძე, ზაზა ლომსიანიძე, მინდია ბაკურია, ნუგზარ ვაშაყმაძე, ლევან გოქსაძე, ოლეგ ხაბულიანი, კახა გემელაძე და კახა ნადირაძე, გუნდის მწვრთნელები ნიკოლოზ დოლაბერიძე და შოთა ჯავახიშვილი.

ქუთაისელთა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა მდგომარეობამ, ქართულ სპორტსაც დაასო დაღი. უსახსრობის გამო ფაქტიურად დაიშალა ქუთაისის კალათბურთელთა გუნდი და უკვე რამდენიმე ეროვნული ჩემპიონატი, უქუთაისელებოდ ტარდება. რაც შეეხება ქალთა გუნდს, მატერიალური ხელმოკლეობის გამო, 1998 წლის რესპუბლიკური ჩემპიონატის მხოლოდ პირველი წრის მატჩები ითამაშა, შემდეგ კი კვლავ უსახსრობის გამო გამოეთიშა ჩემპიონატს.

## თასების თასი

### მერვედფინალი ● პირველი მატჩები

**ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1-0**
ლევერნესი (49).

**ჰეერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) 2-1**
1-0 დე ნოაიერი (57), 1-1 მუმლეკი (63), 2-1 ჰანსმა (89).

**გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) 1-1**
0-1 დანი (56), 1-1 ოულარე (71).

**პანიონიოსი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) 3-2**
0-1 სპოლიარიჩი (14), 1-1 საპოუნჩიჩი (22), 2-1 ჰაილოკი (39), 2-2 სპოლიარიჩი (57), 3-2 რობინსი (57).

**რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) 2-1**
1-0 მიზრახი (13), 1-1 'სლივოვსკი (22), სტრანფერი (88).

**ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) 1-1**
0-1 გოლდბეკი (81), 1-1 დესაი (90).



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რონალდო აქებს პარტნიორს

ხანგრძლივი „პაუზის" შემდეგ „ინტერს" დაბრუნებული რონალდო ძალზე კმაყოფილი დარჩა თავისი ახალი პარტნიორით თავდასხმაში, ვენტოლათი. ბრაზილიელმა აღნიშნა, რომ ვენტოლასთან აქამდე არ უხდებოდა თამაში, მაგრამ ისინი გასაოცრად უგებენ ერთმანეთს.

რონალდომ შეაქო მოსკოვის „სპარტაკი", მისი დაცვა, მაგრამ განსაკუთრებით მოეწონა მეკარე ფილიმონოვი, თუმცა აღნიშნა მის მიერ დაშვებული შეცდომაც.

### ირანელებს გერმანელი მწვრთნელი ჰყავთ

ირანელი მწვრთნელი ჯალალ ტალები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ეროვნულ გმირად გამოცხადდა, ახლა ნაკრებთან აღარ იმუშავებს. მას შეცვლის გერმანელი სპეციალისტი ჰანს-იურგენ გედე. იგი გერმანიაში ნაკლებად ცნობილია, მხოლოდ დიუსელდორფის „ფორტუნას" წვრთნიდა და ისიც მცირე ხნით. 1993-95 წლებში გედე ირანის ოლიმპიურ ნაკრებს ამზადებდა, ისე კი, მისი ძირითადი პროფესია სპორტული აგენტობაა. 41 წლის გედემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი კონტრაქტი მხოლოდ წლის ბოლომდეა დადებული და მისი გაგრძელება დამოკიდებულია აზიის თამაშების შედეგებზე, რომელიც ტაილანდში გაიმართება. ამ შეჯიბრებაში ირანის ნაკრებს გამარჯვების პრეტენზია ექნება.

### „დგება დრო, როცა ჩვენ „ინტერს" უნდა მოვუგოთ"

— ასე ფიქრობს მოსკოვის „სპარტაკის" მწვრთნელი ოლეგ რომანცევი. 4 ნოემბერს ჩემპიონთა ლიგაში მილანის „ინტერთან" შეხვედრის წინ იგი თვლის, რომ „ინტერი" პირველ მატჩში, მილანში ცუდად გამოიყურებოდა („სპარტაკი" კი კიდევ უფრო უარესად")

— რატომ არ მიუჩინეთ რონალდოს პირადი მეურვე?

— მე ამაში აზრს ვერ ვხედავდი. რონალდოს მზადყოფნა არ არის ამჟერად მაღალი, მას რომ სპეციალური მეურვე მიუჩინო, ვიღაცა გამოგრჩება მეხედველობიდან. „ინტერი" არც ისეთი სუპერკლუბია, როგორც ფიქრობენ. დგება დრო, როცა ჩვენ იგი უნდა დავამარცხოთ.

### ვინ იქნება მეორე?

რუსეთის პირველი დივიზიონის შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტურით ადრე პირველი ადგილი და უმაღლეს დივიზიონში გადასვლის უფლება უკვე მოიპოვა მოსკოვთან ახლოს მდებარე ქალაქ რამენსკოეს კლუბმა „სატურნმა". მას 80 ქულა აქვს და 9 ქულით უსწრებს სარატოვის „სოკოლს". მეორე ადგილისათვის ბრძოლის პრეტენზია ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივსაც" აქვს, რომელმაც 65 ქულა მოაგროვა და „სოკოლთან" შედარებით ერთი მატჩით მეტი უნდა ჩაატაროს.

### სიომინი ტალანტებს ეძებს და პოულობს

წელი ისე არ გავა, რომ შემოდგომისათვის მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ იური სიომინის მიერ აღმოჩენილმა რომელიმე ახალმა ნიჭიერმა თავდამსხმელმა შედეგიანი „სროლა" არ დაიწყოს. ასეთი იყო ჯანაშია, შემდეგ გარასი, ახლა კი 17 წლის ბულიკინი — თვლის რუსი მიმომხილველი იური გოლიშაკი.


ზაზა ჯანაშია

### იაპონელი ძალიან მოეწონათ

პელეს კლუბ „სანტოსში" გასაოცარი დებიუტი ჰქონდა იაპონელ ნახევარმცველ მაზაკიიო მაუზონოს. „სანტოსისა" და „პორტუგეზას" შეხვედრაში იგი მინდორზე მეორე ტაიმის შუაგულში გამოვიდა და ბურთის პირველი შეხებისთანავე იგი „პორტუ-გეზას" კარის ბადეში გაახვია. ამან გულშემატკივრების დიდი აღტაცება გამოიწვია. „სანტოსის" მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იაპონელის თამაშით, ხაზი გაუსვა, რომ იგი ბრაზილიაში ნამდვილად გასართობად არ ჩასულა.

### ბრაიან რობსონის იმედი ნუ ექნებათ

ინგლისის სპორტული პრესა სერიოზულად განიხილავს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ გლენ ჰოდლის შეცვლის პრობლემას. ეს ნაკრები ხომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მარცხს განიცდის.

ამ ბოლო ხანებამდე ერთ-ერთ შემცვლელად ასახელებდნენ „მიდლსბროს" მწვრთნელ ბრაიან რობსონს, მაგრამ ახლა ლაპარაკი შეწყდა. საქმე ის არის, რომ რობსონმა ახალ, უკვე ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „მიდლსბროსთან", სადაც მუშაობითაც ძალიან კმაყოფილია.

## გამოცდილება

## დისკუსია იტალიურ სპორტულ პრესაში

**საყოველთაოდ ცნობილია, რა როლი მიეკუთვნება თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას. თითოეულ იტალიურ კლუბს (ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანაშიც) ჰყავს თავისი „პრეპარატორე ატლეტიკო" (მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში). რამდენიმე იტალიელ სპეციალისტს დიდი სახელი და ავტორიტეტიც აქვს. მათ მეთოდებს ზოგი ფეხბურთელი საუკეთესოდ თვლის, ზოგს კი კრიტიკული შენიშვნებიც აქვს.**

გამოჩენილმა ფრანგმა ოსტატმა დიდიე დეშამმა, მსოფლიო ჩემპიონმა და ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველმა ინტერვიუ მისცა „გაძეტა დელო სპორტს", სადაც შეეხო ამავე კლუბის „პრეპარატორე ატლეტიკოს" ჯანპიერო ვენტრონეს მუშაობის მეთოდებს. აი, ერთი ნაწყვეტი ამ ინტერვიუდან: „დატვირთვა, რომელსაც ვენტრონე მოთამაშეებს აძლევს, ყოველწლიურად იზრდება. იმედი მაქვს, რომ არსებობს რაღაც ზღვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხბურთელის სპორტული კარიერის ხანგრძლივობა შემცირდება. წლის განმავლობაში 60-70 როგორც ოფიციალური, ისე ამხანაგურ მატჩს ვთამაშობთ. ისე ხომ არ გამოდის, ვითამაშოთ ერთი წლით ნაკლები, მაგრამ მეტი გამარჯვება ვიზეიმოთ". შემდეგ დეშამმა მისცა კიდევ ერთი ინტერვიუ: „არ შეიძლება ასეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას დიდხანს გაუძლო. ტურინში ჩემი ოთხი წლის თამაშის განმავლობაში ოთხი კილოგრამი მოვიმატე, მაგრამ ეს ქონი კი არ არის, არამედ, კუნთის მასაა.

დეშამის ინტერვიუებმა სპეციალისტების (და არა მარტო საფეხბურთო!) ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია. აი, რა განაცხადა პროფესორმა კარლო ვეტორიმ, 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო ექსრეკორდსმენ პიეტრო მენეას მწვრთნელმა:

— ფეხბურთელები მილიარდებს იღებენ და ამიტომაც მათ უარი არ უნდა განაცხადონ ვარჯიშის დროს მძიმე სამუშაოზე.

ამავე დროს პროფესორმა აღიარა, რომ დეშამი ზოგ რამეში მართალია — მოთამაშეთა ვარჯიშში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ მომზადებას. ამავე დროს ზოგიერთი „პრეპარატორე ატლეტიკო" მეტისმეტ გულმოდგინებას იჩენს, რაც სახიფათოც კი ხდება.

ვეტორის დაეთანხმა კოვერჩიანოს ფეხბურთის უმაღლესი კურსების მასწავლებელი, სპორტული ფსიქოლოგი მასიმო კაბრინი: „ვისაც დიდ ფეხბურთში დარჩენა სურს, უნდა შეეჩვიოს უდიდეს დატვირთვას, ამას ყველა როდი უძლებს და ახერხებს. შეიძლება ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელის დასახელება, რომლებსაც „იუვენტუსი" გამოეთხოვა".

თავისი აზრი გამოთქვა სპორტულმა ექიმმა-დიეტოლოგმა ენრიკო არჩელიმ, რომელსაც ფიზიკური მომზადების იტალიელი მწვრთნელების „მამად" თვლიან: „ვინც უკეთ ვარჯიშობს, ამით ის თავის სპორტულ კარიერას იხანგრძლივებს... ამავე დროს, ისიც სწორია, რომ ბევრ ფეხბურთელს დაბნეულობა ახასიათებს. ისინი უყურადღებოდ ასრულებენ დავალებებს. როცა იმ ფეხბურთელებს ვესაუბრებოდი, რომლებმაც კლუბი შეიცვალეს, და, ამდენად, ფიზიკური მომზადების მწვრთნელიც, არაერთგზის დავრწმუნებულვარ, რომ მათ არა აქვთ ჩატარებული სამუშაოს ანალიზის უნარი".

არჩელის აზრით, ფეხბურთში სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, სავარჯიშო დატვირთვა უფრო დაბალია. აქ ბევრი რამ თვით მთავარ მწვრთნელზე, მის მოადგილეზე ფიზიკურ მომზადებაში და ვარჯიშის ხარისხზეც არის დამოკიდებული. სამუშაო კვირა შეიძლება ხუთი საათითაც კი გაგრძელდეს, მაგრამ ეს უნდა შეესაბამებოდეს შესრულებულ ვარჯიშებს, მათ ინტენსივობას, სწორი მეთოდოლოგიის სრული დაცვით. არჩელიმ დასძინა, რომ დატვირთვის რაოდენობითი მაჩვენებლები განისაზღვრება იმ სისტემით, რომელიც შეიმუშავა ფიზიკური მომზადების სპეციალისტმა რობერტო სასიმ (ეს იტალიელი სპეციალისტი ამჟამად მუშაობს ესპანეთის „ვალენსიაში", რომელსაც ასევე იტალიელი კლაუდიო რანიერი ხელმძღვანელობს). ამ სისტემას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავინახოთ, რომ, მაგალითად, გენუის „სამპდორია" რაოდენობითი თვალსაზრისით სხვა გუნდებზე ნაკლებად როდი ვარჯიშობს, მაგრამ ხარისხობრივად იმის ნახევარს თუ აკეთებს, რასაც „მილანი" თავისი ტრიუმფის წლებში. საქმე ის არის, ამბობს არჩელი, რომ გენუელები უპირატესობას ბურთით მუშაობას ანიჭებენ ფიზიკურ ვარჯიშებთან შედარებით. ასეთი მაგალითი მრავალია.

ახლა კი მოვუსმინოთ დისკუსიის მთავარ გამომწვევს, ტურინის „იუვენტუსის" მწვრთნელს ფიზიკურ მომზადებაში ჯანპიერო ვენტრონეს. იგი გუნდის ხელმძღვანელ მარჩელო ლიპის სრული მხარდაჭერით სარგებლობს, „ჯალათსაც" კი უწოდებენ მის მიერ ვარჯიშზე დიდი მოთხოვნების წაყენების გამო. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ტურინის კლუბმა ამ ბოლო წლებში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. იტალიის ჩემპიონიც გახდა და ეროვნული თასის მფლობელიც, მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ევროპული და იტალიური სუპერთასები, საკონტინენტთაშორისო თასი.

## უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – ფიზიკური მომზადება



ვენტრონემ იტალიურ ჟურნალ „ნუოვო კალჩიოს" („ახალი ფეხბურთის") კორესპონდენტს განუცხადა:

— დეშამთან ამ თემაზე არასოდეს მისაუბრია. თითოეულ ფეხბურთელს აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება. ვფიქრობ, მას სწორად ვერ გაუგეს. მას, ეტყობა, უნდოდა ეთქვა, რომ მოთამაშეები ძალიან ბევრ მატჩს ატარებენ ხშირი მოგზაურობით, მძიმე ფიზიკური დატვირთვა გამოსდით. ეს ყველაფერი გროვდება და სტრესს იწვევს. ამაში, როგორც ჩანს, არავინ მამტყუნებს, მით უმეტეს, რომ წლების განმავლობაში ჩემი მეთოდები არ შეცვლილა. „იუვენტუსში" ჯერაც არავინ დაგვიტანჯავს, უბრალოდ, ვცდილობთ დავეხმაროთ გუნდს, რომელიც პრაქტიკულად ყოველი სამი დღის შემდეგ თამაშობს. ეს მრავალითვის მანძილზე ხდება მცირეოდენი შესვენებებით (შევნიშნავთ, რომ იტალიის ჩემპიონატი მხოლოდ ერთი კვირით წყდება, შობის დღესასწაულზე). ამიტომაც გუნდის მომზადება დიდ სირთულეებს აწყდება. „იუვენტუსში" ჩემი მუშაობის პირველ წელს ნაკრებში სულ ორ მოთამაშეს იწვევდნენ, მაშინ უფრო იოლი იყო მუშაობის დაგეგმვა, ვიდრე ახლა, როცა გაცილებით მეტი ფეხბურთელია სხვადასხვა ნაკრების წევრი.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფიზიკური მომზადების მწვრთნელი ასეთი არჩევანის წინაშე დგას: ან ბევრი იმუშაოს, რომ გარკვეულ შედეგს მიაღწიოს, მაგრამ მოთამაშეების სპორტულ კარიერას ამცირებს, ან...

— მომდევნო სეზონისათვის მუშაობას სადღაც აპრილ-მაისში ვგეგმავ. სულაც არ ვუკავშირებ ვარჯიშების ინტენსიურობას და სპორტული კარიერის სწრაფად დასრულებას, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ურთიერთკავშირი საერთოდ არ არსებობს. პირიქით, შეიძლება ვილაპარაკოთ საპირისპირო რამეზე — ვარჯიშით ამ კარიერის გახანგრძლივებაზე.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ ფეხბურთელებთან?

— ჩვენ, მოთამაშეებმა და ფეხბურთელებმაც, კიდევ ძალზე ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. კოლექტივის მუშაობას ვგულისხმობ, მასში თითოეული მოთამაშის სინქრონულ მონაწილეობას. კარგად მესმის, რომ ბევრი საწვრთნელი ვარჯიში ყველას თანაბარ ინტერესს როდი იწვევს. საჭიროა ყოველთვის თითოეულთან იმის განხილვა, რა მოთხოვნებს ვუყენებთ მათ. მაშინ ისინი უფრო ნაკლებად დაიღლებიან. საჭიროა უკეთესი მუშაობა ჭაბუკთა ჯგუფებთან. იქ უფრო შესამჩნევია განსხვავება კარგსა და საშუალო შესაძლებლობის მწვრთნელებს შორის. მუშაობის რიცხობრივ მხარეს კი არ ვგულისხმობ, არამედ მის ხარისხს. უნდა განვასხვავოთ უბრალო სამუშაო და ნამდვილი დატვირთვა. ყმაწვილებმა უნდა გაიგონ, რომ დაძაბული მუშაობა მათი საქმიანობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და სწორედ ამას მივყავართ შემდეგი წარმატებებისაკენ.

— რა ურთიერთკავშირია მძიმე დატვირთვასა და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განახლებულ ძალ-ღონეს შორის?

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განახლებული ძალ-ღონე არ არის ჩვენი მუშაობის ერთადერთი ძირითადი საფუძველი, იგი მისი ერთ-ერთი კომპონენტია.

*(გაგრძელება იქნება)*

## 5 მლნ. დოლარი არაფერს გააფუჭებს

– მთავარი საკითხი ჩვენს ფეხბურთში ეროვნული იდეის შექმნაა: რუსეთის ნაკრების მოთამაშეებმა, ფიგურალურად თუ ვიტყვით, მინდორზე თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის თავი უნდა მოიკლან. ფინანსური საკითხი მეორადია, თუმცა, ხუთი მილიონი დოლარის მიღება პირველი ადგილისათვის საქმეს არ გააფუჭებს – ასეთი განცხადება გააკეთა კირსან ილიუმჟინოვმა, რომელსაც რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობა სურს.

– მას შემდეგ, რაც მოვაწესრიგე საქმეები ჭადრაკში, ჩვენი საფეხბურთო კლუბი „ურალანი" კი მეორე ლიგიდან უძლიერესთა დივიზიონში მოხვდა, მედლებისათვის იბრძვის, გადავწყვიტე ფეხბურთზე სერიოზულად გადავსულიყავი.

მიზანი ერთი უნდა იყოს – მსოფლიო ჩემპიონობა 2002 წელს. 4 წელი კი რუსეთის ფეხბურთში საქმეების მოგვარებისათვის სრულიად საკმარისი დროა. საქმე, პირველ რიგში, ეხება მენეჯმენტს, ფინანსურ წყაროებს, რეგიონებში თამაშის განვითარებას, ბავშვთა ფეხბურთის პოპულარიზაციას.

ნაკრების ხელმძღვანელ ანატოლი ბიშოვეცის საკითხს მხოლოდ პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემდეგ გადავწყვეტ. მაშინვე მოვკიდებ ხელს ეროვნულ ნაკრებს, რომლის შემადგენლობიდანაც საჭიროა ყველა „პენსიონერის" ჩამოცილება. თუმცა არც ის ვარიანტია გამორიცხლი, რომ ჩემს ნაცვლად რუსეთის ფეხბურთის ხელმძღვანელი „ჩემი კაცი" გახდება, რომლის მეოხებითაც სათანადო პოლიტიკას გავატარებ.

როგორც ილიუმჟინოვმა აღნიშნა, მის განზრახვას, გახდეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი, მხარს უჭერენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორნიც არიან ევგენი ლოვჩევი და ვაგიზ ხიდიატულინი.

### ორი პრეტენდენტი

**რუსეთის საფეხბურთო კავშირის რიგგარეშე კონფერენცია 12 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე გადაიდო. მან კავშირის ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. ჯერჯერობით კანდიდატი სულ ორია. რუსეთის ფეხბურთის ახლანდელი ხელმძღვანელი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რომელსაც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს და ყალმუხეთის რესპუბლიკისა და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი.**

ქართული სპორტის რჩეულნი

# რეზო შარაბიძე

## მსოფლიო ჩემპიონი უნდა გამხდარიყო...



თითქოს გუშინ იყო, ახლაც თვალწინ მიდგას რევაზ შარაბიძის მიერ სხვებისგან განსხვავებული, ბრწყინვალედ შესრულებული ვარჯიში. ჩემზე უფროსი თაობის იმ ტანმოვარჯიშეთაგან, რომელთა გამოსვლებსაც სპორტულ ასპარეზზე მოვესწარი, ყველაზე დასამახსოვრებელი, რა თქმა უნდა, რევაზის ვარჯიში იყო. მაინც რით განსხვავდებოდა მისი გამოსვლები სხვებისგან. რა თქმა უნდა, იყვნენ ძლიერი ქართველი ტანმოვარჯიშეები, მაგრამ მათ უმრავლესობას ილეთების შესრულების მანერით ვერ განასხვავებდით სხვებისგან. რევაზის გამოსვლებში კი იგრძნობოდა დაუოკებელი ტემპერამენტი და, რაც მთავარია, ქართული ხასიათი. მას გააჩნდა მოძრაობის დიდი კულტურა და ვარჯიშის მაქსიმალური ამპლიტუდით შესრულება.

მაინც რა იყო ის განსაკუთრებული თვისება, რომელიც მას გამოარჩევდა. მიზეზი, ალბათ, მის შინაგან კულტურასა და დახვეწილ გემოვნებაში უნდა ვეძიოთ. სწორედ ეს იყო ის თვისებები, რომლებმაც იგი ჩემი თაობის ტანმოვარჯიშეების კერპად აქცია. მას ვბაძავდით არა მარტო როგორც სპორტსმენს, არამედ, როგორც შესანიშნავ ადამიანსა და ქართველს. მისთვის უცხო იყო ამპარტავნობა და ქედმაღლობა. ბატონ რევაზის ავტორიტეტი სხვა რესპუბლიკების ტანმოვარჯიშეებშიც უზომოდ დიდი იყო, რაც თითოეულ ჩვენგანს ხელს უწყობდა ახლო კონტაქტები და მეგობრობა დაგვემყარებინა მათთან.

რევაზი დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეების მიმართ, ნამდვილი მეგობრობის ძაგალითს იძლეოდა. არ მახსოვს მას ესარგებლოს თავისი სპორტული მიღწევებითა თუ ასაკში ანგარიშგასაწევი სხვაობით და წვრთნის პროცესში რიგგარეშე მისული იყოს იარაღზე სავარჯიშოდ. პირიქით, იგი მისთვის ჩვეული ტაქტით გვისწორებდა შეცდომებს და გვაიძულებდა კიდევ ერთხელ გაგვემეორებინა ვარჯიში. დამტუქსავ თუ წამახალისებელ სიტყვებსაც შესანიშნავად შეგვირჩევდა.

ბატონ რევაზს არ უყვარდა თავისი სპორტული წარმატებებისა და პირადი ღირსებების წარმოჩენა, ყოველთვის ამჯობინებდა საერთო ყურადღების მიღმა დარჩენილიყო. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ პრესის ფურცლებზე ცნობილ ქართველ ტანმოვარჯიშეთა ჩამონათვალში იშვიათად თუ შეხვდებით მის სახელსა და გვარს. არადა, არც ერთ ცნობილ ქართველ ტანმოვარჯიშეზე ნაკლები ღვაწლი მას არ მიუძღვის ქართული ტანვარჯიშული სკოლის განვითარებაში. ვინ იცის, გაუმართლებელი ხელისშემშლელი გარემოებები რომ არა, რ. შარაბიძე 50-იანი წლების პირველ ნახევარში შეიძლება მსოფლიო ჩემპიონიც გამხდარიყო. მეუღლეც თავისი ხასიათისა და ბუნების შესატყვისი შეხვდა რევაზს. მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონს ქალბატონ გალინას კარგად იცნობს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა.

70 წლის, ჯანღონით სავსე რევაზ შარაბიძე ადამიანებთან ურთიერთობისას ისეთივე ლამაზი და ხალასია, როგორც სპორტულ წლებში მის მიერ შესრულებული ტანვარჯიშული ილეთები.

ნოდარ მაკალათია
სპორტის ოსტატი,
ვეტერანი ტანმოვარჯიშე.

# ბაქურ გულუას უწყება სოფლად სპორტის აღორძინებისათვის სერიოზულ ნაბიჯებს დგამს

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა იმავდროულად საქართველოში სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის პრეზიდენტიცაა და სპორტულ სამყაროში მისი მოხმობა სულაც არ იყო შემთხვევითი. სადაც კი იმუშავა, ამ კაცმა, ცხოვრების სხვა დარგების წინსვლასთან ერთად თავისი ხელი სპორტსაც დაატყო. დღეს ბევრი რამ ქაღალდზე რჩება, მაგრამ ბაკურ გულუა სხვაა. საქმეს ითავებს, არც მცდელობას დააკლებს, შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენებს. ასოციაციის პრეზიდენტობა ზოგიერთებივით სპორტში მისთვის საპატიო თანამდებობა არაა. ასოციაციამ, რომელიც ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები – ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა სამი ღონისძიება, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ფაქტობრივად სოფლად სპორტის აღორძინების სტიმულად იქცა.

ახლა ასოციაცია გამოვიდა ახალი თაოსნობით – წლევანდელიდან მთელს ქვეყანაში უნდა ჩატარდეს ***სოფლის ოლიმპიური დღეები***, რომლის შინაარსი აუცილებლად მოიცავს ოლიმპიური მოძრაობის ძირითად მიმართულებებს – სპორტულ, კულტურულ და აღმზრდელობით ღონისძიებებს. სპეციალურად დაგზავნილ წერილში მითითებულია, რომ ადგილებზე განსაკუთრებით გაითვალისწინონ ტრადიციები – ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშობები. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს აგრეთვე პირველადი ორგანიზაციების შექმნას იქ, სადაც იგი ჯერ არ შექმნილა, და როგორც სავალდებულო, შევა ყველა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის ადგილობრივ სამმართველოს უფროსებს და ასოციაციის შესაბამის ორგანიზაციას სახელმძღვანელოდ დაეგზავნათ პირველადი ორგანიზაციის ტიპიური დებულება, კრების ჩატარების ინსტრუქცია და იმ ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომლებიც შედიან სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების მომსახურეობაში.

„ლელო“ – გუმათი“

ნიჩბოსნობა ფოთი. შავი ზღვის ღია ჩემპიონატი

# სიძნელეების მიუხედავად...

ბაიდარათი და კანოეთი გამართულ ამ ასპარეზობაში (სამ ასაკობრივ ჯგუფში) მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთის და ფოთის გუნდები. ამთავითვე ვიტყვით, რომ მცხეთელები ამჯერადაც შთამბეჭდავად გამოვიდნენ შეჯიბრებაში, რაც იმის დასტურია, რომ სპორტის ამ სახეობის ტრადიციულ ცენტრში ისევ მოუბრუნდათ გული ნიჩბოსნობისკენ. მცხეთელების წარმატება განაპირობა ერთსულოვნებამ – საშუალო სკოლების ხელმძღვანელები, სადაც სპორსმენები სწავლობენ მხარში უდგანან მწვრთნელებს, ვეტერანმა სპორტსმენებმა, სპორტის ოსტატებმა გიორგი გრიგორიანმა და სურიკ მუსიევმა მონაწილეები გადაიყვანეს ფოთში და ნავებიც გადაიტანეს. ნიჩბოსნობის აღმავლობა იგრძნობა რუსთავშიც.

– საქმე იქითკენ მიდის, რომ გაისად მცხეთელ ჩემპიონთა და პრიზიორთა რიცხვი უთუოდ გაიზრდება – უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს მცხეთის განათლების სამმართველოს ნიჩბოსნობის სპორტული სკოლის დირექტორმა გურამ არქიელიძემ.

**ქვარცხლბექი**

***1981 წლამდე დაბადებულები. ბაიდარა. ერთადგილიანი 1000 მ:*** 1. ალეკო იმედაძე (ქუთაისი), 2. ალექსანდრე ოლეინიკი (მცხეთა), 3. ბესარიონ ყაველაშვილი (თბილისი); ***ორადგილიანი. 1000 მ:*** 1. ლაშა ძოწენიძე – ალეკო იმედაძე (ქუთაისი), 2. გიორგი ნასყიდაშვილი – ალეკო ნებიერიძე (მცხეთა), 3. ოთარ ტატიშვილი – დავით ჩოქური (რუსთავი). ***კანოე. ერთადგილიანი. 1000 მ:*** 1. იუზა ბოკუჩავა, 2. გიორგი წივწივაძე (ორივე – რუსთავი), 3. თამაზ გოგოლაძე (თბილისი); ***ორადგილიანი. 1000 მ:*** 1. გიორგი კახიშვილი – ალეკო დვალიშვილი (რუსთავი). კონკურენტები არ ჰყოლიათ. ***1981-82 წლებში დაბადებულნი. ბაიდარა. ერთადგილიანი. 1000 მ:*** 1. ვასილ ვახტანგაძე (ქუთაისი), 2. ვიტალი ოლეინიკი (მცხეთა), დავით შურღაია (ფოთი); ***500 მ:*** 1. ზაზა ჯიშკარიანი, ოთარ ტატალაშვილი (ორივე – რუსთავი), ზურაბ ზურაბიშვილი (მცხეთა); ***ბაიდარა. ორადგილიანი. 500 მ:*** 1. ტატალაშვილი – დავით ჩოქური (რუსთავი), 2. პეტრე კრატასიუკი – ოთარ ჭელიძე (ფოთი). მონაწილეობდა ორი წყვილი. ***1983-84 წლებში დაბადებულები. ბაიდარა. ერთადგილიანი. 500 მ:*** 1. ჭელიძე, 2. ვახტანგაძე, 3. ოლეინიკი; ***ორადგილიანი. 500 მ.*** 1. ვახტანგაძე – ლევან ბაბუხადია (ქუთაისი). 2. ვიტალი და ოლეგ ოლეინიკები, 3. ერეკლე ზაქაიძე – იგორ კრიულიანუ (ორივე წყვილი მცხეთიდანაა). ***კანოე. ერთადგილიანი. 1000 მ:*** 1. იგორ გეორგიანი (მცხეთა), 2. გენადი ნადარეიშვილი (ფოთი), 3. ნიკოლოზ პესტოვი (მცხეთა); ***ერთადგილიანი. 500 მ:*** 1. გეორგიანი, 2. დავით კარიაული (ქუთაისი), 3. ირაკლი დურჯია (ფოთი). ***ერთადგილიანი. 200 მ.*** 1. გეორგიანი, 2. კარიაული, 3. დურჯია. ***ბაიდარა. ერთადგილიანი 200 მ.*** 1. ჭელიძე, 2. ბაბუხადია, 3. ო. ოლეინიკი. ***ორადგილიანი. 200 მ:*** 1. ვახტანგაძე, – ბაბუხადია, 2. ძმები ოლეინიკები, 3. სოსო შეშაბერიძე – გიორგი მათიაშვილი (თბილისი).

მეორე და მესამე ასაკში გათამაშდა გივი ჭედიას სახელობის პრიზი 200 მ. კანოეში. ადგილები განაწილდა ასე: 1. წივწივაძე, 2. გეორგიანი, 3. ლევან მალანია (ფოთი), ბაიდარებში (იგივე მანძილი): 1. ჯიშკარიანი, 2. ჩოქური, 3. ტატალაშვილი.

მიხეილ ფუფუნავა



რეკორდის ისტორია და იუბილე

# ნახევარი საუკუნე შეუსრულდა...

*დიახ, პირველი ქართველი მსოფლიო რეკორდსმენის ნინო დუმბაძის შედეგს (ბადროს ტყორცნა – 53,25 სმ) საიუბილეო თარიღი – ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ ამ უნიკალურმა სპორტსმენმა კარგა ხნით ადრე, ჯერ კიდევ ომამდე, 1939 წელს დასძლია მსოფლიოს, სარეკორდო ზღვარი, როცა მისმა ბადრომ 49,11 მეტრზე „იფრინა“ და გააუმჯობესა გერმანელ გიზელა მაუერ მაიერის მიღწევა (48,31 სმ). მაგრამ ქართველი მძლეოსნის ეს შედეგი ოფიციალურად არ სცნეს მსოფლიოში, ვინაიდან იმხანად საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის ფუნქციებს სპორტის დედოფლის სექცია ასრულებდა და იგი არ იყო იააფის – მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი და, ამდენად, 49,11 სმ მხოლოდ საბჭოთა კავშირის რეკორდების ცხრილში დაფიქსირდა. პირველი ოფიციალური რეკორდი (53,25) ნ. დუმბაძემ 1951 წელს 534,37 სანტიმეტრამდე „გაზარდა“, ამასთან, იგი იმ წლების ქვეყნის უცვლელი ჩემპიონიც იყო და ორგზის ევროპის პირველობის გამარჯვებულიც. რაღა თქმა უნდა, 1952 წლის XV ოლიმპიურ თამაშებზე ნინო დუმბაძე ოქროს მედლის უცილობელ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ...*



*ჰელსინკის სტადიონზე სპორტულმა ფორტუნამ მას ზურგი შეაქცია და გამარჯვება ახალგაზრდა მეტოქეს ნ. რომაშკოვას (პონომარიოვა) არგუნა, ნ. დუმბაძე „ბრინჯაოს“ დასჯერდა.*

*ამბობენ, დიდ სპორტსმენს ერთნაირად უნდა აღელვებდეს გამარჯვების სიხარული და მარცხის სიმწარეო. ქალბატონი ნინო ამ მხრივაც სამაგალითო იყო. უნდა გენახათ იგი იმ დღეებში. მის მოჩვენებით სიმშვიდეში, აშკარად შეიმჩნეოდა, რომ მოსვენებას არ აძლევდა რევანშის წყურვილი, რომ ყველასათვის დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე. და სულ მალე, ჰელსინკის მარცხის სულ ორიოდე თვის შემდეგ დადგა ეს ჟამიც... თბილისური შემოდგომის მზით სავსე „დინამოს“ სტადიონი ქალაქის პირველობას მასპინძლობდა. მცირემაყურებლიან ტრიბუნებზე გამეფებულ მყუდროებას მესტარტის გასროლის ხმა თუ არღვევდა. სატყორცნ წრეში გამოჩნდა ნ. დუმბაძის ნაცნობი აღნაგობა, რამდენიმე ჩვეული მოძრაობა და მის გრძელ მკლავს მეტეორივით მოსწყდა ბადრო, რომელიც გასაოცარ ნიშნულზე დაეცა. სატყორცნი სექტორის მწვანე გაზონზე კი სარეკორდო ალამი ახალ განზომილებაზე 57 მეტრსა და 04 სანტიმეტრზე დაასვეს – მსოფლიო რეკორდი კვლავ ნინო დუმბაძეს დაუბრუნდა, რომელიც მისი თაობის მტყორცნელთათვის შეუვალი დარჩა...*

ა. უნბ()აძე

# ლეგენდარული

პიროვნებები სპორტში

# სვეტიზარ გლიგორიჩი

***სვეტოზარ გლიგორიჩს, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა, 75 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.***

● ***სვეტიზარ გლიგორიჩი ლეგენდარული სახელია. რა დაგრჩათ იმ ძველი დიდებიდან?***

– არაფერი! სიტყვა „ლეგენდა“ უკვე 30 წელია მესმის. სანამ ცოცხალი იყო ჩემი ცოლი, ასეთი ტრადიცია გვქონდა: დავბრუნდებოდი შინ და ვეუბნებოდი: „აბა, რას მოუტან სადილად ლეგენდას?“

● ***სპორტის ნებისმიერ სხვა სახეობაში ადამიანი, რომელმაც თქვენნაირ წარმატებებს მიაღწია, მშვენივრად უზრუნველყოფილი იქნებოდა.***

– რამდენიმე ათეული წლით ადრე დავიბადე, თორემ ეტყობა, მილიონერი გავხდებოდი.

● ***ამბობენ, რომ თქვენს ქვეყანაში პროფესიული საჭადრაკო ლიგის შექმნა ეს სურთ.***

– ეს შესაძლებელი გახდება, თუკი ჩვენთან ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდება. პროფესიული საჭადრაკო ლიგა შეიძლება მხოლოდ მდიდარ ქვეყანაში შეიქმნას, სადაც მოსახლეობა კარგად არის უზრუნველყოფილი.

● ***რას იტყვით ფიდეს მიერ რეფორმირებული მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ?***

– ეს სიახლე დადებითად უნდა შეფასდეს. შესაძლოა ჭადრაკს შინაარსობრივი თვალსაზრისით რაიმე დააკლდეს, მაგრამ იმატებს შეჯიბრებისადმი ინტერესი, ფინანსური, პოპულიზატორული მხარე. მოჭადრაკეთა ფართო წრის შემოსავალი მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც ბოლო ხანებამდე არარეალური ჩანდა. ისე კი, აქამდე უსამართლო იყო, როცა მსოფლიო ჩემპიონი მილიონობით დოლარს იღებდა, ისინი კი, ვინც ოდნავ უფრო უარესად თამაშობდა, საერთოდ, არაფერს. ახლა გაჩნდა კარგი შემოსავლის შესაძლებლობა. ასეთ მსოფლიო ჩემპიონატში სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას.

● ***უნდა იყოს თუ არა ჭადრაკში ფიდეს ალტერნატიული ორგანიზაცია?***

– ასეთები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ხომ არსებობს. შემდეგ დიდ საპრიზო ფონდს გამოყოფენ გამაერთიანებელი მატჩის მოსაწყობად. შესაძლოა, ასეთი რამ ჭადრაკშიც გაკეთდეს.

● ***რა თვისებები უნდა ჰქონდეს მოჭადრაკეს მსოფლიო მწვერვალების მისაღწევად?***

– მთავარია, ჩემპიონური სულისკვეთება. ამას ჩვენს დროში ემატება კარგი მწვრთნელი და კომპიუტერი.

● ***კომპიუტერები ამ ბოლო ხანებში ხშირად მონაწილეობს ადამიანთა შეჯიბრებებში. თქვენი აზრი?***

– ეს იგივეა, ავტომობილს რომ სირბილში შევეჯიბრო.

● ***თანამედროვე ჭადრაკში ძალიან გავრცელდა ქულების ყიდვა-გაყიდვა. ეს ადრეც იყო?***

იხ. მე–6 გვ.

# რა ხდება ქვეყანაზე

## სამარანჩის ოპტიმიზმი



სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი დიდ იმედებს ამყარებს საერთაშორისო ანტისადოპინგო კონფერენციაზე, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში ლოზანაში უნდა გაიმართოს. პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ამით დიდი ნაბიჯი გადაიდგმება დოპინგთან ბრძოლაში. ამავე დროს, სამარანჩი ფიქრობს, რომ დოპინგის დამარცხება მხოლოდ ფართო საერთაშორისო თანამშრომლობით შეიძლება. ამასთან დაკავშირებით მან ეროვნულ ფედერაციებს მიმართა ამ სფეროში ყველასათვის საერთო ნორმები გამოიმუშაონ.

ესპანურ გაზეთ „ელ პაისის“ კორესპონდენტთან საუბარში სამარანჩმა აღიარა, რომ „პრობლემის გადაწყვეტა ძნელია“, მაგრამ გამოთქვა რწმენა, ამ მხრივ მომავალი კონფერენცია ბევრს გააკეთებს.

— დარწმუნებული ვარ, რომ სპორტმა დოპინგის გარეშე უნდა იარსებოს. ჩვენ იგი თავიდან უნდა მოვიცილოთ არა მარტო იმიტომ, რომ სპორტსმენების ჯანმრთელობა ვიხსნათ, არამედ იმიტომაც, რომ იგი შედეგების ფალსიფიკაციის საშუალებაა, თაღლითობა, და ამას კი სპორტი ვერ შეეგუება.

## პოლონელთა რჩეულნი – შევინსკა და პელე

პოპულარული გამოცემების „პოლიტიკის“ (ვარშავა), „პშეგლონდ სპორტოვისა“ და „ტემპოს“ მკითხველებმა გამოკითხვის შედეგად აირჩიეს მეოცე საუკუნის ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენები, როგორც პოლონეთში, ისე მსოფლიო მასშტაბითაც.

„საშინაო“ არჩევანი გამოჩენილ მძლეოსან ირენა შევინსკაზე შეჩერდა, რომელსაც 7 ოლიმპიური მედალი ჰქონდა მოპოვებული.

მსოფლიოში საუკუნის სპორტსმენად პოლონელმა მკითხველებმა პელე მიიჩნიეს, მეორე ადგილზე კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი (აშშ) გავიდა, მესამეზე – სერგეი ბუბკა (უკრაინა).

## არ გაიპარსავ, ვერ იბრძოლებ

კურიოზული შემთხვევა მოხდა კარაჩის (პაკისტანი) საერთაშორისო ტურნირზე კრივში. ორგანიზატორებმა რინგზე გამოსვლის ნება არ დართეს სამ ავღანელ მოკრივეს, რომლებიც „ტალიბანის“ მოძრაობის მიერ მიღებული კანონის თანახმად, გრძელ წვერს ატარებენ.

აიბა-ს წესებით, კრივის შეჯიბრებებში მხოლოდ წვერგაპარსული სპორტსმენები მონაწილეობენ.

ავღანელი მოკრივეები არ დაემორჩილენ ორგანიზატორებს, რადგან მათ წვერგაპარსულებსსამშობლოში არავინ დააბრუნებს. ამიტომაც ისინი შეჯიბრებაში არ დაუშვეს.


## „ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

*25 ნოემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეექვსე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**10. 11. 21. 27. 28. 35**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 1816.80.
4 ციფრი – 17.40 ლარი.
3 ციფრი – 1.70 ლარი.

**„ჯეკ-პოტი“ 135 000 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **9. 6. 5. 5. 6. 3. 7.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 1 ნოემბერს, ჯეკ-პოტი **135 000** ლარი.
*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი





**ივერნალში ძ. სადამ გვერნალოგან ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური,
სპეციალისტები – საუკეთესო,
შედეგი – აღდგენილი ჯანმრთელობა!
გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა;
ტელ: 23-59-59; 29-47-48.


## საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

### და მასთან არსებული

### უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**მიღებას 1998/99 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დღის (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე.**

უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა ფასიანია. წლიური გადასახადი არის 250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

სპორტის აკადემიაში მიღება წარმოებს სპეციალობით 13.00.04. ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნისა და გამაჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა — 6 ადგილი. უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტში სპეციალობით 10.02.04 — გერმანიკული ენები 1 ადგილი, ინგლისურის სპეციალობით, 1 ადგილი — გერმანულის სპეციალობით. 10.02.05 რომანული ენები იტალიურის სპეციალობით, ერთი ადგილი.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა. 1998 წელს კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია.

სპორტის აკადემიაში შემსვლელები აბარებენ ორ გამოცდას — სპეციალურ საგანში და ორს უცხო ენებში.

უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტში კი სპეციალობას და მეორე უცხო ენას.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

**1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;**
**2. კადრების აღრიცხვის ფურცელი;**
**3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;**
**4. 4 ფოტოსურათი (ზომით 3X4);**
**5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;**
**6. ავტობიოგრაფია;**
**7. ჯანმრთელობის ცნობა;**
**8. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობაში).**
**9. მეცნ. ხელმძღვანელის თანხმობა.**

საბუთების მიღება იწარმოებს 1998 წლის 2-დან 10 ნოემბრის ჩათვლით. გამოცდები დაიწყება 17 ნოემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 49, ტელ. 29-87-94.

## ლეგენდარული სვეტოზარ გლიგორიჩი

*(მეხუთე გვერდიდან)*

— იყო, მაგრამ გაცილებით უფრო „მოკრძალებულად“: ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გააკეთოს კაცმა ამის მაგვარი რამ. ჩემი აზრით, სპორტი აბსოლუტურად წმინდა უნდა იყოს, სხვანაირად რაღა სპორტია.

● ***ედგარ პო წერდა, რომ ორი მოჭადრაკის ბრძოლაში მთავარი კონცენტრაციაა. ეთანხმებით თუ არა ამ აზრს?***

— მთლიანად ვეთანხმები. კონცენტრაციის გენიოსი რობერტ ფიშერი იყო. დღეში 24 საათის განმავლობაში ჭადრაკზე ფიქრობდა. ვფიქრობ, მაღალი კლასის დიდოსტატად გახდომა მხოლოდ ძალების მაქსიმალური კონცენტრაციის შედეგად შეიძლება როგორც თამაშში, ისე ვარჯიშში.

● ***რითი უპასუხებს ჭადრაკი იმ ადამიანებს, რომლებმაც მას ყველაფერი მიუძღვნეს: სიყვარული, ძალა, დრო, ზოგიერთ შემთხვევაში კი ... სიცოცხლეც?***

— ჭადრაკმა ბევრი რამ მოგვცა: მთელი მსოფლიო მოვიარე, უცხო ენები ვისწავლე, მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ: მაქვს დიდი სახლი, ორი მანქანა, კარგა პენსია. ამავე დროს კი ჭადრაკი მთელ ჩემს დროს იკავებდა. ცოლის სიკვდილის შემდეგ მარტო დავრჩი და მივხვდი, რომ პირადი ცხოვრება არა მაქვს და არც არასოდეს მქონია. ამიტომ, არსებითად თუ ვიმსჯელებთ, არც არასოდეს მიცხოვრია, თუმცა ამას ვერ ვგრძნობდი მუდმივად დაკავებული ვიყავი.

## სპორტი ცისფერ ეკრანზე

27 ოქტომბერი – 1 ნოემბერი

**27 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (0.25). იბერია. „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (0.05). ***TB центр.*** საცხენოსნო სპორტი (1.15). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (20.45; 23.45). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 15.10). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (8.00). ამერიკული ფეხბურთი (9.10; 15.25; 18.15). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (12.45). მინი-ფეხბურთი (15.55). ავტოსპორტი (16.55). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (20.30; 0.20). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.15). ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“ – „დინამო“ (22.10). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 12.00; 14.00; 19.30; 1.00). კრივი (13.00). ბოდიშეიპინგი (16.00). ჰოკეის ღამე (21.30). ***EUROSPORT.*** მოტოსპორტი (10.30; 17.30; 19.00; 1.30). კარტინგი (12.30). ფეხბურთი (14.00; 0.30). ჩოგბურთი (20.00; 21.00).

**28 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია, I არხი.*** „გოლი“ (21.20). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17,45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** სპორტული ცეკვები (0.50). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (20.45; 23. 35). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30, 21.40). ***HTB плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (7.05; 15.00). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (8.05). ესპანეთის საფეხბურთო მატჩების მიმოხილვა (9.10). ავტოსპორტი (9.40). მხატვრული ტანვარჯიში (13.15). ლათინოამერიკული ფეხბურთი (18.40; 0.40). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (19.40; 21.15; 23.05). ***ESPN.*** სკეიტბორდი (2.00). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00;14.00; 21.00; 1.00). ბოდიშეიპინგი (16.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30). კარტინგი (12.30), ჩოგბურთი (14.00; 20.00; 21.00), კრივი (0.30). სუმო (1.30).

**29 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. TB центр.*** საცხენოსნო სპორტი. (11.10). ***REN TB.*** „სპორტკურიერი“ (20.45; 23.50). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 15.50). ჰოკეი (7.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (8.15). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.15; 0.40). მხატვრული ტანვარჯიში (12.35). ჩემპიონთა ლიგა (21.15). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-13.00; 20.30; 1.00). კეტბურთი (22.30). ***EUROSPORT.*** გოლფი (10.30). ავტოსპორტი (11.30; 12.30; 15.00; 16.30; 2.30). საცხენოსნო სპორტი (18.30). კრივი (0.30). ფეხბურთი (1.30).

**30 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (23.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი; „ლოკომოტივი“ – „ბალტიკა“ (23.50). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (23.15). ***RENTV.*** „სპორტკურიერი“ (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30); 21.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 14.45). ბრაზილიური ფეხბურთი (9.10). ევროპული ფეხბურთის კვირეული (12.35). ჩემპიონთა ლიგა: „რეალი“ – „შტურმი“ (15.10). კრივი (19.00). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (21.15). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.10). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 13.00; 20.30). კეტბურთი (22.30). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30). საცხენოსნო სპორტი (11.00). კარტინგი (12.30). ფეხბურთი (14.30). მოტოსპორტი (15.30; 17.30; 18.30; 19.30). ჩოგბურთი (20.00; 21.00). ექსტრემალური სპორტი (2.00).

**31 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: „დინამო“ – „ტორპედო“ (16.00). ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). იბერია. „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** ჰოკეი (13.00). ***TB центр.*** ფეხბურთი დიალოგებში (14.00). ***RENTV.*** სპორტული მიმოხილვა (19.15). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 20.35). ***HTB плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (9.40; 15.45). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (9.55). ჰოკეი (13.00). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (16.00). ფეხბურთი (18.00; 22.55). ამერიკული ფეხბურთი (19.00). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 12.00; 20.30). საცხენოსნო სპორტი (7.30). ამერიკული ფეხბურთი (14.00). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). მოტოსპორტი (12.30; 13.30; 16.30; 21.00; 2.00). ჩოგბურთი (20.00).

**1 ნოემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***RENTV.*** ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (15.30). ***ACT.*** სპორტი პლანეტაზე (20.35). ***HTB плюс спорт.*** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.55). ჰოკეი (12.40). საჭადრაკო მიმოხილვა (15.55). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (16.25). ავტოსპორტი (23.00). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 12.00; 21.00; 1.30). კვირის ღამის ფეხბურთი (22.15). ***EUROSPORT.*** ავტოსპორტი (10.30; 14.00; 17.00; 18.30; 23.00). კანოე (11.00). ჩოგბურთი (21.00). კრივი (2.30).

## ფოტოგამოცანა



## საჭადრაკო ამოცანა

ა. კოპნინი
(რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. მhg6! – 2. ეg5X.
1. ...მფ:g4 2. ლf3X.
1. ...კf4 2. ე:f4X.
1. ...კf6(კd6) 2. ლe4X.
1. ...ე:g6 2. ლ:g6X.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ქცბაია, 7. ფორტუნა, 8. ბატისტუტა, 11. სკალა, 12. სარმა. 13. შელია, 16. რიბეკი, 17. „ალანია“, 21. სვანი, 22. მატჩი, 23. ამორი, 26. ალბერვილი, 27. ხნიკინა, 28. ატლანტა.
**შვეულად:** 1. „სელტიკი“, 2. სინაუ, 3. კორტი, 4. ანტალია, 6. მასარო, 9. „ბლექბერნი“, 10. შერინგემი, 14. რაკლი, 15. „სელტა“, 18. ზიგენი, 19. სტარტი, 20. კრიკეტი, 24. ბლანი, 25. პლატი.


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე